ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 20 იანვარი, 2022 №14 (8792) ფასი: 60 თეთრი

ნინო ლომჯარია: „სააკაშვილისთვის დაზარალებულის სტატუსის მოთხოვნა არგუმენტირებულია“

გვ.5

„დასავლეთს სააკაშვილის მობრუნების ეშინია, ამიტომ „ოცნებას“ არ აკრიტიკებს“



გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „ვეტოს ივანიშვილი მტრობად აღიქვამდა, პრეზიდენტმა კი თავი არ აიტკივა“

„აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დევნილები არ აინტერესებს, კორუფციის ბუდეა“

მამუკა გვაძაბია: „ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ შეკრებაზე განაცხადა, დაივიწყეთ აფხაზეთიო“

გვ.3

გვ.3

„ხელისუფლებას განსაკუთრებით მძიმე გაზაფხული ელოდება“

ლევან ალაფიშვილი: „რიგგარეშე არჩევნებისთვის ოპოზიცია მზად არ არის“

„საქართველოში ზოგი წამლის ფასი 200%-ით არის გაზრდილი“

გიორგი ქედელიძე: „მოსახლეობა მალე იგრძნობს წამლების ფასების კლებას“

გვ.4



გვ.2

ირაკლი ღარიბაშვილი: „მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, საქართველოს მინის ფართობი გადაეცა“



გვ.4

რუსეთი ომს უკრაინის მაგივრად სხვაგან იწყებს?

ISSN 1987-9385

5 მეუფე ნიკოლოზი: „სააკაშვილი ჩემს ეპარქიაში შიდა პატიმრობაში გადავიყვანოთ“

2 ბრიტანეთის საელჩო: „მითია, რომ საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდება“

3 თურნავა: „თუ ენკა მზადაა, უფრო მოქნილი გახდეს, ამაზე ვისაუბრებთ“

6 ბლინკენი: „რუსეთს შეუძლია უკრაინას მოკლე დროში დაესხას თავს“

ერდოღანმა პუტინი და ზელენსკი თურქეთში მიიწვია

„დასავლეთს სააკაშვილის მობრუნების ეშინია, ამიტომ „ოცნებას“ არ აკრიტიკებს“

დავით ზურაბიშვილი: „ვეტოს ივანიშვილი მტრობად აღიქვამდა, პრეზიდენტმა კი თავი არ აიტკივა“

იავო ნაცვლიშვილი

რა არის ოპოზიციის მთავარი პრობლემა? რა არის „ოცნების“ მთავარი საზრუნავი? რატომ ვერ გაბედა პრეზიდენტმა იმ კანონისთვის ვეტოს დადება, რომელსაც თავადვე აკრიტიკებდა? და რატომ არის დასავლეთი პასიური საქართველოს საკითხზე? — ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი დავით ზურაბიშვილი საუბრობს.

ივანიშვილი თუ გაგიბრაზდა, ის იწყებს ბრძოლას 80-იანი წლების ბოლოდროინდელი რუსული მაფიოზური მეთოდებით

– ოპოზიცია ამბობს, რომ ეს უნდა გავაკეთოთ და ის უნდა გავაკეთოთო, მაგრამ რეალურ ქმედებებს ვერ ვხედავთ და პოლიტიკური პროცესი დაპაუზებულია. რა ეტაპზეა ოპოზიციის პოლიტიკა?

– ჩემი აზრით, არასწორად არის დასმული კითხვა. ასეთი ერთგვაროვანი ოპოზიცია ჩვენ არ გვყავს. პოლიტიკური პარტია და პოლიტიკოსი ვერაფერს ვერ გააკეთებს, მის უკან ხალხი თუ არ დგას. დღეს გვაქვს პოლარიზებული ატმოსფერო. როდესაც ვამბობთ ოპოზიციას, ვგულისხმობთ ნაცმოძრაობის მომხრეებსაც და ისეთებსაც, რომელიც არ არიან ნაცმოძრაობასთან ასოცირებულები. ამ ხალხს არა თუ სხვადასხვა ამომრჩეველი ჰყავთ, არამედ პრინციპულად სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ პროცესებზე. აბსოლუტურად სხვადასხვანაირად არის აღქმული მათი მხრიდან, ამიტომ ეს ორი ერთად ვერაფერს ვერ გააკეთებს. იმიტომ, რომ სრულიად სხვა რამე უნდა იმ პოლიტიკური ძალების პოტენციურ ამომრჩევლებს, რომელიც არ ემხრობიან ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში მობრუნებას და სრულიად სხვა რამე უნდა იმ პოლიტიკოსებს, ვინც ნაცმოძრაობაშია.

ამ პრობლემის თავი და თავი ეს არის და მეტი არაფერი. საზოგადოებაში ორგვარი ოპოზიციური განწყობაა, ეს ძირითადად განპირობებულია არა ხელისუფლების, არამედ ჯერ ნაციონალური მოძრაობის მიმართ და აქედან გამომდინარე ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებით. ამ შემთხვევაში პრობლემას ქმნის მეორე ნაწილი, ანუ ვინც არ არის ნაცმოძრაობის მომხრე – ეს ხალხი ვერ ხედავს ალტერნატივას, ისეთ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, რომელიც შეცვლიდა „ოცნების“ ხელისუფლებას, მაგრამ არ მოიყვანდა ხელისუფლებაში ენმ-სა და სააკაშვილს. ამიტომ, ამ პოტენციური ამომრჩევლის ნაწილი ან სახლშია და არ მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში, ან სულაც ხელისუფლებას აძლევს ხმას ნაკლები ბოროტების პრინციპით. თუ ამომრჩევლის ეს ფრთა არ იქნა აქტუალიზებული, არსებული რესურსი საკმარისი არ არის. ნაცმოძრაობის ამომრჩეველი ძალიანაც აქტიურია, მაგრამ ხელისუფლების შესაცვლელად ეს საკმარისი არ არის.

– ვსაუბრობთ, რომ ხალხი დღეს არის აქტიური და მობილიზებული, მაგრამ პოლიტიკურმა აქტორებმა ხომ უნდა შესთავაზონ თავისი დღის წესრიგი?

– საქმეც ეგაა. ვინც არ არის ნაცმოძრაობის მომხრე და ამბობს, რომ არც ერთი არ მინდა, მათ ვერაფერს ვერ სთავაზობენ გარდა იმისა, რასაც ნაცმოძრაობა სთავაზობს. ერთადერთ რამეს სთავაზობს ენმ – თავის თავს. ანუ, პრაქტიკულად სთავაზობს იმას, რაც იყო ადრე.

– ეს წრე როგორ უნდა გავარღვიოთ?

– ეს წრე არ გაირღვევა, ამის გარღვევა შეუძლებელია. ეს ვერ მოხდება იმ ამომრჩეველის აქტივიზაციის გარეშე, რომელიც ნაცმოძრაობის მომხრე არ არის. ჯერჯერობით ის პოლიტიკოსები, ვინც ამ ფლანგზე უნდა მუშაობდნენ, ან არ მუშაობენ ამ ფლანგზე, ან ცუდად მუშაობენ.

– გვირაბში მივდივართ და სინათლე ჯერ არ ჩანს?

– მე ვერ ვხედავ ჯერჯერობით. პრეტენზიას ვინც აცხადებს ამაზე, რომ ის ნაცმოძრაობის მომხრე არ არის, ან იმეორებს ენმ-ის მესიჯბოქსს, ან ნაცმოძრაობის განაწყენებას ერიდებიან. მაგალითად, „ლელო“. ურჩევნიათ ენმ-ის საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ლიდერებთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნონ, ვიდრე მათ აწყენინონ და, მაგალითად, თავისი ამომრჩევლის გული მოიგონ. ეს ასე არ გამოვა, ძალიან მარტივი ამბავია. ეს ვერ მოხდება თუ მკაფიოდ არ თქვი, რომ ჩემი დღის წესრიგი არ არის, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის გამოყვანა. მე დაფიქსირებული მაქვს პოზიცია, მიმაჩნია, რომ პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულია, მაგრამ მე არ ვთვლი არც ეროვნული მასშტაბის ლიდერად და არც უდანაშაულოდო. რომელი პოლიტიკოსი ამბობს ამას, გარდა ელისაშვილისა, რომელიც უფრო ხელისუფლებასთან არის ასოცირებული?! უნდა გააგებინო ენმ-ს, რომ არ მოხდება ერთიანი ოპოზიციური ფლანგის ჩამოყალიბება ნაცმოძრაობის ლიდერობით. ეს თუ თქვეს, ამით კი ვერ მოიგებს ოპოზიცია ამომრჩევლის გულს, მაგრამ ეს თუ არ თქვეს, ისე არაფერი გამოვა.

თუ შენ ამბობ, რომ ნაცმოძრაობა არ ვარო და იმეორებ იმას, რასაც ის ამბობს, მაშინ ამომრჩევლის თვალში მისგან არაფრით არ განსხვავდები. ვუსხსნი ამას ყველას – ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ არ უნდათ ამის გაგება. მაშინ უყურონ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, რა ვქნა?!

– ხელისუფლების მოქმედებებში არჩევნების შემდეგ ცვლილებებს ვერ ხედავთ? მაგალითად, ის რაზე მეტყველებს, როდესაც მცირე თავისუფლების კუნძულების ნგრევაზეც რომ გადავიდნენ? ვგულისხმობ ინსპექტორის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს.

– არა, არაფერზე არ გადასულა ხელისუფლება. ის არაფერს არ აკეთებს. საკითხის ასე დასმა არის ტიპიური ნაციონალური მოძრაობის დისკურსში ჩაჯდომა. ეს ხელისუფლება ფულის გაკეთებაზეა ორიენტირებული და მეტი არაფერი არ აინტერესებს. წულუკიანისნაირ პერსონებს თუ არ ჩავთვლით, რომელთაც პირადი კომპლექსები აქვთ. ეს ხელისუფლება პოლიტიკისგან დაცლილია, მათ არ აქვთ პოლიტიკური მიზნები. უნდა შეუშალო ხელი ფულის კეთებაზე, ოღონდ თუ ამაში შეუშლი ხელს, ყველაფერზე წამსვლელია. ფულს გააკეთებს, თუ მას ხელს არ შეუშლის მასზე კიდევ უფრო ძლიერი, ისეთი, როგორიც დასავლეთია, მაგრამ ის ახლა პასიურია, რადგან მიშას ჩამოსვლის შემდეგ ისინი პასიურ სიტუაციაში გადავიდნენ, რადგანაც დასავლეთისთვის „ოცნებაზე“ მეტად მიუღებელი სააკაშვილის ხელისუფლებაში ერთპიროვნულად დაბრუნებაა.

– თუმცა, ამ ფონზე გაუხსნა „ფრონტის ხაზი“ კობახიძემ კელი დეგნანს.

– ხელისუფლება, რა თქმა უნდა, სარგებლობს ამით და ზედმეტობები მოსდის. არ მიდის მკვეთრ დაპირისპირებაზე „ოცნებასთან“ დასავლეთი შეგნებულად. იმიტომ, რომ მათთვის სააკაშვილის შესაძლო მობრუნება ხელისუფლებაში კიდევ უფრო უარესი დესტაბილიზაციაა. რუსეთთან ისედაც დაძაბული ვითარებაა და ამ სიტუაციაში, შეიძლება კიდევ უფრო სერიოზული კონფლიქტიც კი მოხდეს. ასე უყურებენ ამ საკითხს.

ნაცმოძრაობის ტაქტიკა მარტივია, დაარწმუნონ ამომრჩეველი, რომ „ოცნებას“ სჯობია. ეს არის არანაცური პარტიების პრობლემა. იმისათვის, რომ ამომრჩევლის გული მოიგო, მუშაობაა საჭირო. ხაზარაძეს ჰგონია, რომ ივანიშვილმა რუსეთის დავალებით წაართვა ანაკლია და ამით მოიგებს ამომრჩევლის გულს. ეს არის ნაცმოძრაობის ხაზი. ასე თუ ილაპარაკე, ნაცმოძრაობის მხარდამჭერები მოგიწონებენ, მაგრამ ვინც მისი მომხრე არ არის, არ მოგიწონებს.

– პრეზიდენტზე იყო მოლოდინები, რომ ხელისუფლებისგან დისტანცირებას აკეთებდა, მაგრამ ვერ გამოდგა ისეთი გაბედული, რომ იმ კანონებისთვის დაედო ვეტო, რომელსაც თავადვე აკრიტიკებდა. რა პოლიტიკური თამაშია ეს?

– იცით, როგორ არის?! როგორც ჩანს, სალომე ზურაბიშვილმა გადაწყვიტა, რომ თვითონაც გამოჩნდეს, როგორც პრეზიდენტი და ფიგურა, მაგრამ ისე გამოჩნდეს დამოუკიდებლად, რომ არ დაუპირისპირდეს ბიძინა ივანიშვილს. როგორც ჩანს, ასე გადაწყვიტა. მე პირადად ეჭვი არ მეპარება, რომ ლონდა თოლორაიას გათავისუფლება და ამ სამსახურის გაუქმება იყო პირადად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება. ვეტო რომ დაედო პრეზიდენტს, ამას არ მოითმენდა ივანიშვილი. გვახსოვს, რის გამოც გადაეკიდა მარგველაშვილს – როგორ გაბედა და სასახლეში შევიდა, რომელიც ისედაც არის იქ. ამის გამო და კიდევ პატარ-პატარა დამოუკიდებლობების გამოვლენის გამო გადაეკიდა მას. აქაც პრეზიდენტს ვეტო რომ დაედო, ივანიშვილი ამას პირად მტრობაში ჩაუთვლიდა.

– განცხადებებს არ ჩაუთვლის მტრობაში?

– განცხადებები შეიძლება არ ჩაუთვალოს. განცხადება შეიძლება პოლიტიკურ თამაშში ჩაუთვალოს და სახის შენარჩუნების მცდელობაში, მაგრამ არ გააუქმოს და შეეწინააღმდეგოს, ამას უკვე ძალიან მტრობად აღიქვამდა და მოყვებოდა ცეცხლი სალომეს მისამართით. როგორც ხდება ხოლმე ეს, ხომ ვიცით?! ფარული ჩანაწერებით და ჭორების გავრცელებით. ივანიშვილი თუ გაგიბრაზდა, ის პოლიტიკურ ბრძოლას არ იწყებს, ის იწყებს ბრძოლას 80-იანი წლების ბოლოდროინდელი რუსული მაფიოზური მეთოდებით. სხვა არ იცის მაგ ადამიანმა, ეს ისწავლა მან იქ.

– ეს ნიშნავს, რომ სალომე ზურაბიშვილი ამაზე მეტად დამოუკიდებელ ხარისხს ვერ მოიპოვებს, რაც დღეს აქვს?

– თუ მოინდომებს, კი მოიპოვებს, მაგრამ არ უნდა თავის ტკივილი, გართულება და დაპირისპირება. თავადვე რაც არ მოსწონდა, იმ კანონს ვეტო არ დაადო და ხელი მოაწერა და სხვა რა შეფასება უნდა გავაკეთო?!

ირაკლი ღარიბაშვილი: „მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, საქართველოს მიწის ფართობი გადაეცა“

– მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, საქართველოს 4.000 კვ მ მიწის ფართობი გადაეცა, სადაც ქართული კულტურის ცენტრი აშენდება.

ამის შესახებ გუშინ, 19 იანვარს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მოსახლეობას ნათლისღების დღესასწაული მიულოცა.

– თქვენს უწმინდესობას, წმინდა სინოდის წევრებს, მოსახლეობას, ყველას გილოცავთ ნათლისღებას. ჩემთვის დიდი პატივია, დღეს ჩვენს მოსახლეობას ვაცნობო ფრიად სასიხარულო ამბავი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ ისტორიული მოვლენის მონაწილენი ვართ. მისი უდიდებულესობის, იორდანიის მეფის, აბდულა მეორისა და მისი უმაღლესობის, პრინც ღაზის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს გადაეცა მიწა მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ. პატრიარქის კურთხევით, აქ აშენდება ქართული კულტურის ცენტრი.

300 წლის შემდეგ საქართველო ბრუნდება წმინდა მიწაზე. ყველა ქართველისთვის სასიხარულოა ეს მოვლენა, რომელიც შესაძლებელი გახდა საერო და სასულიერო ხელისუფალთა ერთიანი ძალისხმევის შედეგად.

ფასდაუდებელი იყო ჩვენი პატრიარქის, მისი უწმინდესობის ჩართულობა, მისი დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი. ერისა და ბერის ასეთი ერთიანობა, ყოველთვის არის და იქნება ჩვენი ქვეყნის წინსვლის, განვითარების უმთავრესი წინაპირობა.

მადლობას ვუხდი მის უდიდებულესობა მეფე აბდულა მეორეს, მის უმაღლესობა პრინც ღაზის, იერუსალიმის პატრიარქ თეოფილუსს, იორდანიის არქიეპისკოპოს ქრისტოფორუსს, ჩვენი მთავრობის, საელჩოს თითოეულ თანამშრომელს, ჩვენს ელჩს იორდანიაში ზაზა კანდელაკს, ყველას, ვინც ძალისხმევა არ დაიშურა ჩვენს წინაპართა დიდი ტრადიციის გასაგრძელებლად. თითოეულ ქართველ ვულოცავ ამ მნიშვნელოვანი სულიერი და კულტურული ცხოვრების კერის დაარსებას წმინდა მიწაზე. ნათლისღებას გილოცავთ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მიწის მდებარეობისა და ადგილზე არსებული ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაცია პრემიერს იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში საქართველოს ელჩმა ზაზა კანდელაკმა მიაწოდა.

ელჩის თქმით, მდინარე იორდანესთან ახლომდებარე 4.000 კვ.მ მიწის ნაკვეთის საქართველოსთვის გადაცემის ოფიციალური ცერემონიალი უახლოეს პერიოდში დასრულდება.

„ოცნების“ 13 მილიონერი დეპუტატიდან 4-ს 2021-ში მიკროფონი არც ჩაურთავს

ფლანგვის დეტექტორის მოკვლევით, საქართველოს პარლამენტში „ქართული ოცნების“ დეპუტატებს შორის 13 მილიონერია, გასულ 2021 წელს კი მათგან 4-ს მიკროფონი არც ჩაურთავს.

2021 წელს პარლამენტში 62 პლენარული სხდომა გაიმართა, სხდომებზე 409 კანონის პროექტი განიხილეს.

თუმცა 2021 წელს მმართველი პარტიის დეპუტატების თითქმის ნახევარს, 45%-ს სიტყვის უფლებით 10-ჯერაც კი არ უსარგებლია.

პარლამენტარის ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურება 4.624-6.740 ლარია.

2020-2022 წლებში პარლამენტისა და მასთან არსებული ორგანიზაციების დასაფინანსებლად დაახლოებით 187 მილიონი ლარი გამოიყო, რისი 53% შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა.

მილიონერი პარლამენტარები აქტიურობით არ გამოირჩევიან და მათი მიკროფონით სარგებლობის მაჩვენებელი ასე გამოიყურება:

ვასილ ჩიგოგიძე – 0
ირაკლი ხახუბია – 0
ვიქტორ ჯაფარიძე – 0
ელგუჯა გოცირიძე – 0
ისკო დასენი – 2
გოჩა ენუქიძე – 2
ზაალ დუგლაძე – 3
პაატა კვიჟინაძე – 7
ანტონ ობოლაშვილი – 8
გიორგი ამილახვარი –16
თამარ ტალიაშვილი – 26
ბექა ოდიშარია – 27
ნინო წილოსანი – 116

მმართველი პარტიის პარლამენტართა სია, რომლებსაც 2021 წლის განმავლობაში ერთხელაც კი არ ჩაურთავთ მიკროფონი, ასეთია:

ელგუჯა გოცირიძე, ედიშერ თოლორაია, სუმბატ კიურეღიანი, სამველ მანუკიანი, ზაალ მიქელაძე, დიმიტრი სამხარაძე, ლევან ქარუმიძე, გოდერძი ჩანქსელიანი, ვასილ ჩიგოგიძე, ირაკლი ხახუბია, ვიქტორ ჯაფარიძე.

ბრიტანეთის საელჩო: „მითია, რომ საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდება“

მითებს, ტყუილს და დეზინფორმაციას ვუპირისპირებთ სიმართლეს – ამის შესახებ საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფეისბუქპოსტშია საუბარი.

მითია, რომ საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდება, – წერია ინფორმაციაში.

„2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ალიანსის წევრი ყველა ქვეყანა შეთანხმდა, რომ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი. გაერთიანებული სამეფო მტკიცედ უჭერს მხარს ამ შეთანხმებას. ნატოში გაწევრიანება აპლიკანტი ქვეყნისა და ნატოს წევრი ქვეყნების გადასაწყვეტია.

რუსეთს არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს სუვერენული სახელმწიფოს ალიანსში გაწევრიანებას ან შეაჩეროს ეს პროცესი“ – წერს საელჩო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლებას განსაკუთრებით მძიმე გაზაფხული ელოდება“

ლევან ალაფიშვილი: „რიგგარეშე არჩევნებისთვის ოპოზიცია მზად არ არის“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ მათი მიზანი ყველა ტრიბუნის გამოყენება უნდა იყოს. მათ შორის, მასობრივი პროტესტის დაორგანიზება და პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების მიღწევა. ამომრჩეველში რამდენად არის ვადამდელი არჩევნების მოთხოვნილება?

– მართალია ნელ-ნელა, მაგრამ მაინც საქართველოს პოლიტიკა დემოკრატიულ სტანდარტებს უახლოვდება. პოლიტიკური ბრძოლის სიმწვავის მიუხედავად, ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების ერთადერთ გზად არჩევნები მიიჩნევა.

თუკი, პარალმენტს გარეთ საქმიანობაზე არის საუბარი, ვგულისხმობ ქუჩის აქციებს, პროტესტს ამ შემთხვევაშიც მხოლოდ კანონის ფარგლებში, კანონის ჩარჩოებში მოქმედებაზეა საუბარი, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია. ეს ძალიან კარგი ნიშანია.

რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნებს: სამწუხაროდ, არ ვფიქრობ, რომ დღეს პოლიტიკური პარტიები მზად იყვნენ მორიგი საარჩევნო მძიმე ციკლისთვის. აქ უფრო მნიშვნელოვანია ამომრჩეველთან კომუნიკაცია და იმ შეცდომების გააზრება, რაც პარტიებმა არჩევნებზე დაუშვეს და არა ის, რა უნდა ამა თუ იმ პარტიას. მთელი ამ ხნის მანძილზე ოპოზიცია შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და ეს კარგად გამოჩნდა მიშელის დოკუმენტის გაფორმებისას. ოპოზიცია თავის ამომრჩეველს სულ უფრო დაშორდა.

– დღეს, ამომრჩეველსა და ოპოზიციას თანხვედრი პოზიციები არ აქვთ?

– მოთხოვნა, რომ ვადამდელი არჩევნებით მოვიდეს ხალხისთვის მისაღები ხელისუფლება და ის გაუძღვეს ქვეყანას – არის და ოპოზიციაც ამიტომ საუბრობს ამაზე, მაგრამ ამომრჩეველი საკუთარ არჩევანს არსებულ პოლიტიკურ ძალებზე არ აკეთებს. ამაშია საქმე. დიახ, არიან პარტიები, რომლებსაც თავიანთი ერთგული ამომრჩეველი ჰყავთ და ეს ამომრჩეველი კრისტალიზებულია უკვე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საყოველთაო ცვლილებისთვის.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, ის სახელწმიფო ბიუროკრატიას შეზრდილია. სამწუხაროდ, საქართველოში ტრადიციულად ასე იყო. ამიტომ, „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, კლასიკური გაგებით რთულად განსახილველია. რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს, ისინი ძალიან სუსტები არიან და ეს ჩვენი პარტიული სისტემის ბრალია. ამიტომ, ამას გრძნობს, ხედავს ამომრჩეველი. ის ვერ უკავშირებს თავის მომავალს არსებულ პოლიტიკურ პარტიებს და ეს სრულიად გასაგებია. ამ ფონზე რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა ძალიან არაბუნებრივად გამოიყურება. ცვლილებები რომ საჭიროა, ამაში ქართველი ამომრჩეველი სრულიად ჩამოყალიბებულია, მაგრამ ვის ანდობს ამ ცვლილებებს, ეს არის მთავარი საკითხი. ამიტომ, პოლიტიკოსებს მოუწევთ თავიანთი პოზიციების, ურთიერთობების კორექტირება საზოგადოებასთან. არაერთ არჩევნებზე გამოჩნდა, რომ ამომრჩეველი მხოლოდ განცხადებებით აღარ იღებს გადაწყვეტილებას.

– გაზაფხულზე სოციალური გამოსვლები რამდენად რეალურია? შეიძლება ხელისუფლება ერთგვარ თადარიგს იჭერდეს, როდესაც გარკვეულ პროექტებზე საუბრობს?

– ამ საფრთხეებზე დიდი ხანია ვსაუბრობ. ეს იქნება ყველა პროტესტისგან განსხვავებული. შეიძლება ეს იყოს ყველაზე დაუნდობელიც და ყველაზე საფრთხის შემცველიც ხელისუფლებისთვის. სტიქიურად გამოსული ხალხის მართვა ქუჩაში ძალიან რთულია. ასეთი პროტესტები ხშირად არა მართვადია. მე არ ვამბობ, რომ აუცილებლად ასეთ პროტესტში რუსეთი ჩაერთვება, მაგრამ ამით რუსეთი რომ სათავისოდ ისარგებლებს, ეს აშკარაა. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე და გონივრულობა მართებს ხელისუფლებას.

გაზაფხული, როგორც წესი, მძიმეა საქართველოში. არ გამოვრიცხავ, რომ წლევანდელი განსაკუთრებით მძიმე იყოს ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. ხელისუფლებას ფაქტობრივად აღარანაირი რესურსი აღარ დარჩა. ინფლაცია, სოციალური სიდუხჭირე, კოვიდმდგომარეობა, საჯარო სიკეთე, რამდენად სამართლიანად არის გადანაწილებული, ელექტრომატარებლებზე ფასების გაზრდა, ტრანსპორტის გაძვირება, ეს ყველაფერი თავის გავლენას იქონიებს ადამიანებზე ყოველგვარი ოპოზიციისა და პოლიტიკის გარეშე. ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებას მძიმე გაზაფხული ელოდება.

ეკონომიკურ ზრდაზე რომ საუბრობს ხელისუფლება და რაღაც რიცხვებით თავს რომ იწონებს, ეს საერთოდ არ არის რომელიღაც სოფლისა თუ ქალაქისთვის ან ამა თუ იმ ოჯახისთვის მთავარი. მათთვის მთავარია მათ შვილებს და მას არ შიოდეს. თავისი ოჯახი ჰყავდეს უზრუნველყოფილი. საზოგადოების სტაბილურობას ეკონომიკური სტანდარტები კი არ განსაზღვრავს, ამა თუ იმ ოჯახის კმაყოფილება განსაზღვრავს მეტწილად.

ეკონიმიკური ზრდა რამდენად სამართლიანად ნაწილდება საზოგადოების ყველა ფენაზე, ეს განაპირობებს სტაბილურობასაც და კეთილდღეობასაც. ამის ნათელი მაგალითი იყო ერთ-ერთ საჯარო სტრუქტურაში ცოტა ხნის წინ განვითარებული მოვლენები. ცხადია, ვგულისხმობ სოცმუშაკების გაფიცვას. მე არ გამოვრიცხავ, სხვა საჯარო დაწესებულებებშიც მსგავსი გამოსვლები იყოს, რადგან ხელფასები აუტანლად არასამართლიანია. ვიღაცას თვეში ათი ათასი აქვს და ვიღაცას ხუთასი ლარი. თუმცა, ამ პრეცედენტს ალბათ არ დაუშვებს.

„აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დევნილები არ აინტერესებს, კორუფციის ბუდეა“

მამუკა გვაძაბია: „ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ შეკრებაზე განაცხადა, დაივიწყეთ აფხაზეთიო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ბოლო პერიოდია დევნილების თემა კვლავ აქტუალურ საკითხად იქცა, რა ხდება, რა პრობლემების წინაშე აღმოჩდნენ დევნილები?

– სანამ ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, მე ყოველთვის დევნილი ვიქნები. აი ამ პრობლემის მოხსნა უნდა ვიღაცას, რომ დევნილი არ ერქვას არავის. ეს პოლიტიკური პრობლემაა, სახელმწიფოებრივი პრობლემაა. ვინმეზე კვალიფიციურად კი არ მომაქვს თავი, მაგრამ ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა. დღეს ლეგიტიმურ ხელისუფლებას რომ ეძახიან და სამარცხვინო ხალხი რომ ჰყავთ უზენაეს საბჭოში, წლების წინ მეც ვღებულობდი ამ არჩევნებში მონაწილეობას. პირველ ტურში გავიმარჯვე და მეორე ტურში კანდიდატურა მოვხსენი. მოვხსენი იმიტომ, რომ ის ორგანო, რომელსაც ლეგიტიმურს ეძახიან, არჩეული იქნა 1991 წელს. ასეთი რამ მსოფლიოში არსად არ ხდება. ფაქტიურად 31 წელი გავიდა, რაც ეს ორგანო არის არჩეული. მას შემდეგ მოხდა უბედურება, აფხაზეთი დაეცა, ასიათასობით ადამიანი არის დევნილი, უცხო ძალების გამოყენებით იძულებით დაგვატოვებინეს ჩვენი სახლ-კარი.

– ვის უნდა რომ ეს სტატუსი მოგიხსნათ?

– ამდენი წლის გასვლის შემდეგ, ამდენი დევნილი არსებობს, არსებობს ისევ ეს ავტონომია, იურიდიულად არავის არ გაუუქმებია ის, აქვს შესაბამისი სტრუქტურები, ისინი შესაბამისი ადამიანების წინაშე უნდა იყვნენ ანგარიშვალდებული. როდესაც ასიათასობით დევნილია და არ არსებობს ამ ადამიანების წინაშე ანგარიშვალდებული ორგანო, აქედან გამომდინარე ამ ადამიანების უფლებები ნაკლებად არის დაცული. ბიუჯეტის წურბელები, რომლებიც სხედან საბჭოში, ე.წ. ლეგიტიმურ უზენაეს საბჭოში, ისინი ანგარიშვალდებულები ამ დევნილების მიმართ არ არიან. 30 წლის წინ აირჩიეს და არიან და არიან. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის დარღვევით ხდება, ქვორუმი ვერ დგება, ყოფილი მინისტრი ისევ დეპუტატია, შესაციინებენ ამ ბიუჯეტს, უქნარები და არაფრის გამკეთებლები არიან. ამ ორგანოს ერთი წევრი არ მისულა, ერთი განცხადება არ გამიგია, იმ თავქარიანი მინისტრის, ფაცაციას გარდა და ისიც გააგდეს იქიდან. მე იმის თქმა მინდა, რომ ამ ადამიანებს, თუ ავტონომიის მცხოვრებლები არიან და დევნილები არიან, შესაბამისი სტრუქტურები სჭირდებათ, რომლებიც ამ ადამიანების წინაშე იქნებიან ანგარიშვალდებულები.

„აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ყველა მთავრობას მოერგო, ფაშისტური ხელისუფლება რომ მოვიდეს, ტაშს დაუკრავენ და მათ ფოტოებს დაკიდებენ. პატარა საბჭოთა კავშირი აქვთ შექმნილი“

– ეს ორგანო არ არის ანგარიშვალდებული?

– ეს პარაზიტების და წურბელების ორგანო, ე.წ. ლეგიტიმური ხელისუფლების სახით, ამ ადამიანების წინაშე ანგარიშვალდებულები არ არიან. აირჩიეს 31 წლის წინ, ისიც აპარტეიდული საარჩევნო კანონით და ამით მორჩა. ბიძინა ივანიშვილმა, როცა თავის დროზე პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა, შეკრება ჩაატარა და მათ შორის იყო ჩემი ორი ახლობელი, რომელიც ამ შეკრებას ესწრებოდა და სწორედ იქ თქვა ივანიშვილმა, დაივიწყეთ აფხაზეთიო. აი ასეთი განწყობით მოვიდა ის ხელისუფლებაში. ოღონდ რამენაირად მოიშორონ ეს პრობლემა და ყველაფერს აკეთებენ ამისათვის. კორუფციული გზით, დევნილების ჩასასახლებელი ქონება მიიღო სხვამ. იმიტომ, რომ თავიდან ბოლომდე კორუფცია ყვავის ხელისუფლებაში.

– ხომ არიგებენ ბინებს დევნილებისთვის? რა ხდება, ერთი და იგივე ჯგუფები იღებენ თუ რატომ ჰყავთ ამდენი უკმაყოფილო ადამიანი?

– რა თქმა უნდა, ბინებს აძლევენ, ყველა უბინაოდ არაა, მაგრამ ყველაზე გაჭირვებული ფენა ვინც არის ამ დევნილებში, ისინი ისევ უბინაოდ არიან. ყველამ იცის, რა პირობებში ცხოვრობენ და რა მდგომარეობაში არიან. კაცმა მეტი რაღა ქნას, ამაზე მეტი უბედურება რაღა უნდა მოხდეს, გადმოხტა და თავი მოიკლა. ეს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები კი, გინდ პოზიცია და გინდ ოპოზიცია, გამოდიან და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკობენ, თუმცა ყველა ერიდება იმის თქმას და იმის კრიტიკას, რაც მე ვთქვი. ამ ორგანოს გადარჩევა და ახალი ორგანოს არჩევა, რებრენდინგი უნდა მოხდეს, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება დევნილების წინაშე. როდესაც ასეთი პრობლემები წამოიჭრება, ესენი მაშინვე ვირთხებივით სოროებში იმალებიან. სამაგიეროდ, ხელფასებს იღებენ და ბიზნესებს აკეთებენ.

– კორუფციას ხედავთ ამ სქემაში?

– როგორ არ ვხედავ! მთლიანად კორუფციაში არიან ჩაფლულები, კორუფციის ბუდეა. მარტო იმით არიან დაკავებულები, რომ რამენაირად აკეთონ ფული. ეს ყველაფერი ზედაპირზე დევს და არავინ ინტერესდება. კატასტროფულ მდგომარეობაშია დევნილების პრობლემები. ამ ავტონომიას წარმომადგენლობითი ორგანო უნდა ჰყავდეს, რომელიც იქნება არჩეული და რომელიც ანგარიშვალდებული იქნება ამ დევნილების წინაშე. ყველა მთავრობას მოერგო ეს ორგანო, ფაშისტური ხელისუფლება რომ მოვიდეს, ტაშს დაუკრავენ და მათ ფოტოებს დაკიდებენ. პატარა საბჭოთა კავშირი აქვთ შექმნილი. იმ დროს არჩეული ორგანოა ისე. უმრავლესობა არის პაროლუსული ორიენტაციის. მარტო ხელფასები როგორ აიღონ, იმას უყურებენ. დევნილების წინაშე კი ანგარიშვალდებულები არ არიან.

– რა უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხი?

– არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ დაუფიქსირებია ადეკვატური პოზიცია. ამ სიტუაციაში ყველაზე ადეკვატური სახალხო დამცველი იყო. გამოადიან ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და სათქმელს ბოლომდე არ ამბობენ. ნახევარ სიმართლეს ამბობენ და ენის მოჩლექით ლაპარაკობენ. რა ინტერესი აქვთ ამ ორგანოების მიმართ?! ერთადერთი გამოსავალია ამ სტრუქტურების აბსოლუტური რეორგანიზაცია. ოპოზიცია რომ ხარ, რა არის შენი დანიშნულება? რასაც ხელისუფლება არ ამბობს, ის უნდა თქვა. გამოდიან და არც მწვადს წვავენ და არც შამფურს. სათქმელს ბოლომდე არ ამბობენ. არავინ ამბობს იმას, რომ დევნილების წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს არჩევნები უნდა მოხდეს. დღევანდელ ორგანოს, დევნილები სულ ფეხზე ჰკიდია.

თურნავა: „თუ ენკა მზადაა უფრო მოქნილი გახდეს, ამაზე ვისაუბრებთ“

ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა ამბობს, რომ მთავრობას სურს, ნამახვანჰესის მშენებელ ინვესტორ „ენკასთან“ საარბიტრაჟო დავის გარეშე გაარკვიოს საკითხი.

ამის შესახებ მან პირველი არხის გადაცემა „თავისუფალ ხედვაში“ ისაუბრა.

ამასთან, როგორც ის ამბობს, ინვესტორთან მათ დაბრუნებაზეც ისაუბრებენ, თუკი მზადაა, უფრო მოქნილი გახდეს, კომუნიკაციაში შევიდეს მოსახლეობასთან და გარემოსდაცვით საკითხებს სწორად უპასუხოს.

– მიუხედავად იმისა, როგორ წარიმართება ჩვენი შემდგომი ურთიერთობები კომპანია ენკასთან, ან ნებისმიერ კონკრეტულ ინვესტორთან, მიუხედავად იმისა, შეასრულებს, თუ არა იგი ვალდებულებებს, შეძლებს თუ არა სწორ კომუნიკაციას პროექტის ირგვლივ, თვითონ პროექტი არ უნდა დაზიანდეს.

ინვესტორთან შევეცდებით, არბიტრაჟის და დავის გარეშე, რომელიც ჯერ არ დაწყებულა, დავხუროთ ეს ფურცელი.

თუ დავინახავთ, რომ ინვესტორი მზადაა, უფრო მოქნილი გახდეს, კომუნიკაციაში შევიდეს მოსახლეობასთან, გარემოსდაცვით საკითხებს სწორად უპასუხოს, ამის სურვილი გააჩნია, რომ დაბრუნდეს, ამაზეც ვისაუბრებ. თუ მოლაპარაკების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩვენ გვირჩევნია და ინვესტორსაც ურჩევნია, დავცილდეთ, გვინდა დავის გარეშე მოხდეს, ურთიერთმისაღები პირობებით.

ნებისმიერ შემთხვევაში, სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტები უნდა განვითარდეს და ეს გვაჩვენა ამ ნამახვანის პერიპეტიებმა, რომ ასეთ სტრატეგიულ პროექტებში, რა თქმა უნდა, მეტ ნდობას იწვევს ფაქტი, თუკი სახელმწიფო ლიდერია, – თქვა ნათია თურნავამ.

2021 წლის 22 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ ენკა ნამახვანჰესის კასკადის აშენებაზე არსებულ ხელშეკრულებას წყვეტს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი მასში გათვალისწინებული პირობების დარღვევა და ფორს-მაჟორია.

ნამახვანჰესის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები ერთი წელი მიმდინარეობდა. 2021 წლის 23 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით, აქციის მონაწილეები ჰესის მშენებლობას თბილისშიც აპროტესტებდნენ.

საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ვარლამ გოლეთიანის თქმით, მხოლოდ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი იმ ზარალზე, რასაც ხელშეკრულების შეწყვეტით ბიუჯეტი მიიღებს.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„საქართველოში ზოგი წამლის ფასი 200%-ით არის გაზრდილი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი ქედელიძე პასუხობს.

გიორგი ქედელიძე: „მოსახლეობა მალე იგრძნობს წამლების ფასების კლებას“

– ბატონო გიორგი, თქვენთვისაც ცნობილია, რომ პრემიერის ინიციატივის შემდეგ თურქეთის ბაზარი გაიხსნა და ჩვენს ქვეყანაში თურქეთიდან მედიკამენტები შემოვა, რომელიც ხარისხიანიც იქნება და ფასიც გაცილებით დაბალი ექნებაო. თუმცა არის საფრთხეც, რომ შესაძლოა ფალსიფიცირებული მედიკამენტები შემოვიდეს ქართულ ბაზარზე. როგორ მოხდება ბაზრის დარეგულირება და რა დადებითი და უარყოფითი ტენდენციები შეიძლება გამოიკვეთოს?

– ჩვენი მონიტორინგის ანგარიშის ფარგლებში, რომელიც უკვე დაასრულა სააგენტომ, სულ, საერთო ჯამში, გაიცა 13 რეკომენდაცია. დასაწყისშივე მინდა გითხრათ, რომ თურქეთის ბაზრის გახსნა ჩვენი რეკომენდაციების ნაწილი არ ყოფილა, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენც ვფიქრობდით ამ საკითხზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე. პირველ რიგში, თურქეთის ბაზრის გახსნა ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შევა ცვლილება, სადაც უკვე მოცემულია 36 მაღალი სანდოობის მქონე ქვეყანა და თურქეთიც დაემატება ამ ქვეყანათა სიას და თურქეთიდან შესაძლებელი იქნება მედიკამენტების გამარტივებული ე.წ. პარალელური იმპორტი. ეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, რომ ჩვენს ქვეყანაში ფიზიკურად და ფინანსურად იყოს ხელმისაწვდომი მედიკამენტები იმ საფასო სეგმენტში, რა საფასო სეგმენტითაც ეს მედიკამენტები ხელმისაწვდომია თურქეთის ბაზარზე. რა თქმა უნდა, იყო მოსაზრებები უარყოფით გარემოებებთან დაკავშირებით, ის რომ თურქეთის ბაზარზე დაშვებული ყველა მედიკამენტი არ წარმოადგენს უპირობოდ ხარისხიან მედიკამენტს. იყო მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით, თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელია გარკვეული დამატებითი ზომების მიღება.

– წვდომა უნდა იყოს აუცილებლად თურქეთის მარეგულირებელთან და ბაზასთან?

– დიახ. მაგალითად, ის კონკრეტული მწარმოებლები თურქეთის ტერიტორიაზე, რომლებიც არ სარგებლობენ მაღალი სანდოობით, შესაძლებელია გაკეთდეს ამ კომპანიების სპეციალური სია და ამასთან დაკავშირებით დამატებითი შეზღუდვები იქნას შემოღებული. თუმცა, რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად ფასების შემცირების კუთხით ამ ყველაფერს ექნება დადებითი გარემოება, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფასთაშორისი სხვაობა საქართველოში არსებულ მედიკამენტებსა და იმ მედიკამენტებზე, რომელიც იდენტური სახელით იყიდება თურქეთის ბაზარზე, არის ძალიან დიდი და რამდენიმე ასეულ პროცენტს აღწევს ამ შემთხვევაში სხვაობა. თუ იმპორტიორი კომპანიები გააკეთებენ იმპორტს ამ მედიკამენტების, შეღავათი იქნება მოსახლეობისთვის ფასების მიმართულებით და ეს შეღავათი იქნება მყისიერი.

– დაახლოებით რამდენ ხანში იგრძნობს ამ სიკეთეებს მოსახლეობა?

– ზუსტი დღის და კვირის დასახელება რთული იქნება ამ შემთხვევაში, თუმცა მოკლევადიან დროით შუალედზეა საუბარი. საკმაოდ მოკლევადიან პერიოდში უკვე ხელშესახები იქნება სხვაობა იმ ფასებს შორის, რაც დღეს არსებობს და რაც სამომავლოდ იქნება. ძალიან ბევრ მედიკამენტს შეეხება ეს. რა თქმა უნდა, ყველა მედიკამენტს არ შეეხება ფასების შემცირება. ეს დამოკიდებულია მედიკამენტების იმ ჯგუფზე, რა ჯგუფიც თურქეთის ბაზარზეა ხელმისაწვდომი. ასევე, იმ იმპორტიორებზე, რომლებიც ქვეყანაში საქმიანობენ. საბოლოოდ რომ შევაჯამოთ ეს ნაწილი, დადებითი გავლენა აუცილებლად იქნება, რა თქმა უნდა, არსებობდა და არსებობს გარკვეული კითხვები, გარკვეული რისკები, თუმცა ამის გადაზღვევა და კონტროლი სავსებით შესაძლებელია. ასე რომ, ამ ყველაფერს დადებითი გავლენა ექნება.

– ახალი მონოპოლისტები ხომ არ გაჩნდებიანო, ეს კითხვაც გაჩნდა საზოგადოებაში. ვის ექნება უფლება, რომ თურქეთიდან მედიკამენტები შემოიტანოს? ან თავად ხელისუფლება ხომ არ ჩაიგდებს ხელში ამ ინიციატივას?

– მსგავსი შეზღუდვის შესახებ, რომ შემოტანის უფლება მიცემული ყოფილიყო, ასე ვთქვათ, კონკრეტული კომპანიებისთვის, ეს არ გაჟღერებულა არასდროს. შემოტანის უფლება ექნება ყველა იმ კომპანიას, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. მინდა გითხრათ, რომ დღეის მდგომარეობით ბაზარზე გვყავს 150-დან 180-მდე იმპორტიორი კომპანია, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებიდან ახორციელებენ მედიკამენტების იმპორტს. საკმაოდ გაჯერებულია ბაზრის პროცენტული წილები ამ კომპანიებს შორის. რა თქმა უნდა, გვყავს რამდენიმე მსხვილი კომპანიაც, თუმცა იმ მოსაზრებას, რომ თურქეთის ბაზრის ამგვარი გახსნა, რაიმე დამატებით ცვლილებას საჭიროებს, ასე არ არის.

– ამდენი კომპანია დაასახელეთ და თურქული ბაზრის გახსნამდე ფასები საკმაოდ ძვირი იყო. ქართულ მონოპოლიურ ბაზართან ხდება ფასების შეთანხმება თუ რასთან გვაქვს საქმე?

– ფასები არის თუ არა მაღალი, ამ შემთხვევაში ალბათ შედარების გამოყენება დაგვჭირდება. იგივე თურქეთს რომ შევადაროთ, თურქეთთან შედარებით იდენტურ მედიკამენტებზე, რა თქმა უნდა, საქართველოში მაღალია ფასები. ამას რამდენიმე მიზეზი გააჩნია, რაც იწვევს მაღალ ფასებს სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამ შემთხვევაში თურქეთთან შედარებით.

– კერძოდ?

– პირველ რიგში, მედიკამენტის მწარმოებელი უცხოური კომპანიისთვის ხშირ შემთხვევაში განსაზღვრული აქვთ მედიკამენტის მიწოდების კონკრეტული პოლიტიკა, რომელი პოლიტიკაც ძირითად შემთხვევებში დამოკიდებულია ბაზრის ზომაზე. თურქეთის ბაზარი ჩვენ ქვეყანასთან შედარებით არის ძალიან დიდი და მათთვის სხვა პირობები არსებობს და ჩვენთვის სხვა პირობები. ძირითადად, სწორედ ეს განაპირობებს ფასთაშორის სხვაობას. არსებობს ბაზრის რეგულირების სხვადასხვა ასპექტები, თურქეთში სხვა რეგულაციები არსებობს, რის გამოც ფასები იქ არის გაცილებით დაბალი. შესაბამისად, ეს ყველაფერი უნდა იქნას გათვალისწინებული. რაც შეეხება თქვენს კითხვას, მონოპოლისტებთან დაკავშირებით, ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ეს საკითხი, მათ შორის ფასმატების და მოგების ხარჯებთან დაკავშირებით და უნდა გითხრათ, რომ მსხვილი კომპანიების საშუალო ფასნამატი წლიურ ჭრილში, ყველა მედიკამენტის გათვალისწინებით, არის 18%-დან 26%-ის ფარგლებში.

– მეტი არა?

– ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ 26%-ზე მეტი ფასნამატით არც ერთი მედიკამენტი არ იყიდება, ზოგიერთი მედიკამენტი იყიდება მაღალი ფასნამატით და 100 და 200%-ითაც აქვს ფასნამატი, ზოგიერთი დაბალი ფასნამატით. აღვნიშნე, რომ 180-მდე იმპორტიორი კომპანიაა ბაზარზე და სხვა კომპანიების მხრიდან, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა შემთხვევები, როდესაც 1000%-მდეც კი აღწევს. თუმცა მსგავს ფაქტს მსხვილი კომპანიების მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ყოველ შემთხვევაში, იმ მონიტორინგის ფარგლებში, რაც სააგენტომ განახორციელა. შესაბამისად შედარებითია ეს ყველაფერი და ძალიან ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს იმას, თუ რატომ არის თურქეთში მედიკამენტი უფრო იაფი, ვიდრე საქართველოში.

– როგორ მოხერხდა ბაზრის გახსნა? მსხვილი კომპანიები ამას ყოველთვის ხელს უშლიდნენო. ახლა რა მოხდა, წინ ვერ აღუდგნენ ხელისუფლების ნებას?

– ბაზრის გახსნა არ არის მარტივი საკითხი. როდესაც ჩვენ თურქეთი შეგვყავს შესაბამისი ქვეყნების სიაში, სადაც დღეის მდგომარეობით არის 36 ქვეყანა და თურქეთი იქნება 37-ე. ეს 36 ქვეყანა და ახლა უკვე თურქეთიც არის მაღალი სანდოობის მქონე ქვეყნები. კარგია, რომ ეს მაღალი სანდოობა არსებობს. დღეს მარეგულირებელმა ჩათვალა, რომ უკვე არსებობს ნდობა, რაც დავუშვათ წარსულში არ იყო და სწორედ ამიტომ არ იხსნებოდა ეს კონკრეტული ბაზარი. ალბათ უფრო ეს გახდა მიზეზი. კომპანიების მხრიდან ვინ არის წინააღმდეგი და ვინ თანახმა, ეს უმჯობესია თავად კომპანიებს ჰკითხოთ, თუმცა გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, არის. ეს ამ შემთხვევაში ბუნებრივია. აუცილებელია კონკურენტული გარემოს შექმნა და აქედან სარგებელი მიიღოს მომხმარებელმა.

– დღემდე სერიოზულ პრობლემად რჩება ექიმსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის არსებული გარიგებები. ამას თუ მოევლება?

– ჩვენი მონიტორინგის ანგარიშის პირველი რეკომენდაცია არის გენერიკული რეცეპტი. გენერიკული რეცეპტი ნიშნავს იმას, რომ აიკრძალება რეცეპტის დროს, მედიკამენტის კონკრეტული სავაჭრო დასახელება. სავაჭრო დასახლებას არანაირი კავშირი არა აქვს მედიკამენტთან, ეს წარმოადგენს მხოლოდ კომპანიის ნიშანს. სასაქონლო ნიშანს განსაზღვრავს საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება, იგივე ჯენერიკი. შესაბამისად, ჩვენი უპირველესი რეკომენდაციაა, რომ რეცეპტი გახდეს გენერიკული, მათ შორის დანიშნულება და უკვე გენერიკული რეცეპტის საფუძველზე, მომხმარებელს მიეცემა საშუალება, რომ თავისუფალი არჩევანის პირობებში უკვე აფთიაქში გააკეთოს არჩევანი. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, გარიგებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, მინდა გითხრათ, რომ ამგვარი ურთიერთობა კანონით დღეს უკვე არის აკრძალული და ეს არის სანქცირებადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, თუმცა დარგის მარეგულირებელს არ გააჩნია ეფექტიანი ბერკეტები და მექანიზმები, რომ ასეთი ურთიერთობები გააკონტროლოს. პირველ რიგში, ქვეყანაში ყველასთვის სავალდებულო უნდა გახდეს ერთიანი ელექტრონული რეცეპტი, რომლის ადმინისტრირებასაც გააკეთებს დარგის მარეგულირებელი. ჩვენ კვლევა ამ მიმართულებითაც განხორციელებული გვაქვს, ეს პრობლემა არის და მისი რეალური შედეგებიც დანახულია ბაზარზე და ჩვენ უკვე გავეცით ქმედითი რეკომენდაციები.

რუსეთი ომს უკრაინის მაგივრად სხვაგან იწყებს?

მარიამ მჭედლიშვილი

უსაფრთხოების პრობლემებმა საქართველოს მოსახლეობაც მოიცვა. საქართველოს გარშემო მიმდინარე რთული მოვლენები საქართველოსაც ეხება, რომლის ორი რეგიონი ოკუპირებული აქვს რუსეთს, საქართველოს ნატოში შესვლა-არშესვლის საკითხი კი უმაღლესი დონის შეხვედრებზე იხილება.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ დასავლელი ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ რუსეთის ახალ აგრესიას საქართველოში.

რაც დრო გადის, მით უფრო მეტად მუსირებს მოსაზრება იმაზე, რომ კრემლი, რომელსაც უკრაინის საზღვართან დიდი ხანია ჩაყენებული ჰყავს 100 000-იანი ჯარი და სამხედრო ტექნიკა, თავის სამხედრო იერიშებს სხვა ტერიტორიაზე დაიწყებს.

პოლონელი ექსპერტები ერთ ვარიანტად ასახელებენ მოლდოვის დნესტრისპირეთს. რუსეთს იქ დისლოცირებული ჰყავს 2 000 სამხედრო. ავტორების განმარტებით, დნესტრისპირეთს ისეთივე სტატუსი აქვს, როგორც საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს. ეს წარმონაქმნები აღიარებენ ერთმანეთს და წარმოადგენენ პრობლემას მთელი საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ამ რეგიონების ერთადერთი სერიოზული მოკავშირეა პუტინი. უკრაინასა და დანარჩენ მოლდოვას შორის მიმწყვდეული დნესტრისპირეთი იდეალური ადგილია ომის გაჩაღებისათვის. ეს ომი ადვილად მიიღებს ფართო მასშტაბს. დასავლეთის გზაზე დამდგარი მოლდოვა ხვდება იმ ქვეყნების სიაში, სადაც რუსეთს შეუძლია დესტაბილიზაციის პროვოცირება და პროდასავლური ტენდენციების ბლოკირება.

რუსეთისთვის ხელსაყრელ სხვა ვარიანტად განიხილება ფეთქებადსაშიში მრავალკონფესიური ბოსნია და ჰერცეგოვინა, სადაც ძირითადად სამი ეროვნების ხალხი ცხოვრობს. ბოსნია და ჰერცეგოვინა ემზადება ნატოში შესასვლელად. ქვეყნის ახლანდელი კურსის მოწინააღმდეგეა ბოსნიელი სერბების ლიდერი მილორად დოდიკი, რომელიც სახელმწიფოდან რესპუბლიკა სერბსკას ავტონომიის გამოყოფით იმუქრება. მას ზურგს უმაგრებს ბელგრადი და მოსკოვი.

სხვათა შორის, რესპუბლიკა სერბსკას დელეგაცია გარკვეული ხნის წინ ოკუპირებულ აფხაზეთს სტუმრობდა. მხარეებს შორის გაფორმდა მთელი რიგი შეთანხმებები. თბილისიდან ამის გამო ხმამაღალი პროტესტი არ გამოთქმულა.

პოლონელი ავტორების აზრით, თურუსეთის პროვოცირებით ბოსნია და ჰერცეგოვინა დაიშალა, ეს იქნება ახალი დიდი ომის დასაწყისი.

პოლონელი ექსპერტები არ გამორიცხავენ ომის გაჩაღებას აშშ-სთან ახლოს. რუსეთის წარმომადგენლებმა გააკეთეს მინიშნებები იმაზე, რომ რუსეთის სამხედროები და სამხედრო ტექნიკა შესაძლოა განლაგდნენ ვენესუელასა და კუბაში.

– დიდია იმის ალბათობა, რომ პუტინი შეგნებულად აღვივებს ომს და მასში ითრევს ნატოს. თუნდაც, პირველი დარტყმა არ იყოს განხორციელებული ნატოს ქვეყნების ტერიტორიაზე. მაშინ ყველა ახლანდელი კრიზისი, პანდემია, ინფლაცია და ფასები ენერგომატარებლებზე სანატრელი გაგვიხდება, – ასკვნიან ავტორები.

„დოიჩე ველეს“ მიმომხილველი ვარაუდობს, რომ კრემლი ემზადება „მოძმე“ ბელარუსის ანექსიისათვის. მისი თქმით, პუტინის რეალური მოტივაცია მალე გამჟღავნდება. ასიათასიანი დაჯგუფების ყოლა სამხედრო მზადყოფნაში უკრაინის საზღვართან ძვირი და რთულია.

როგორც ცნობილია, უშედეგოდ დამთავრდა კრემლის მოლაპარაკებები ვაშინგტონთან და ნატოსთან. გერმანული მედიის ანალიტიკოსის შეფასებით, რუსეთს მოლაპარაკებები მხოლოდ საბაბისთვის სჭირდება. მოსკოვი „რაღაც უფრო დიდისთვის“ ემზადება.

უკრაინელი ექსპერტების დასკვნით, რუსეთმა ზიანი საკუთარ თავს მიაყენა. უკრაინის საზღვართან სამხედრო კონტინგენტის გაჩერება ყოველდღიურად მილიონები ჯდება. რუსეთის მუქარებმა შეაკავშირა დასავლეთი, შეამცირა ნდობა რუსეთის მიმართ და დააკარგვინა კრემლს მხარდამჭერები, რომლებიც წინათ ანტირუსული სანქციების მოხსნას მოითხოვდნენ.

რუსეთი რომ უკრაინის მაგივრად სხვა ადგილას გამოაჩენს კუნთებს, ამაზე რუსი სამხედრო ექსპერტებიც ალაპარაკდნენ:

– პუტინი დაარტყამს იქ, სადაც მას საერთოდ არ ელიან. მას ელოდებიან უკრაინაში. ვადები გაწერილია – თებერვლის ბოლო – მარტის დასაწყისი. იმ დროისთვის ზელენსკის გაზი გაუთავდება. ბრძოლის დრო მოვა, მაგრამ პუტინი სხვა სივრცეს აირჩევს. იმ დროისთვის დაგეგმილი გვაქვს მსხვილმასშტაბიანი წვრთნა ბირთვული ტრიადის გამოყენებით – სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ბაზირებით.

ჰერმან საბო: „პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების წინაპირობებს ვერ ვხედავ“

– პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარება არავის პიროვნულ სურვილზე დამოკიდებული არ არის – ეს დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე და დღესდღეობით ამის წინაპირობებს ვერ ვხედავ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „გირჩის“ დეპუტატმა ჰერმან საბომ განუცხადა.

მისივე თქმით, თუკი ქუჩაში გავალთ, პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საკითხზე პასუხი ძალიან მარტივი დასანახი იქნება.

– თუკი ნახავთ მუხტს, რომ ადამიანები ძალიან გაბრაზებული არიან რამეზე, მაშინ შეგიძლიათ თქვათ, რომ პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების წინაპირობა არსებობს. მე დღეს ასეთ წინაპირობებს ვერ ვხედავ. ფაქტია, რომ ოპოზიცია პარლამენტსა და საკრებულოებში შევიდა... ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა და საპარლამენტო რესპუბლიკების ჩვეულებრივი პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია, რომ თუკი სხვადასხვა კრიზისი იქმნება, ამ კრიზისების განმუხტვის ყველაზე მარტივი გზა პარლამენტის ვადამდელი არჩევნებია. ფაქტია, რომ დღეს ასეთი კრიზისი სახეზე არ გვაქვს – თუ გვექნება, არც ვადამდელი არჩევნების ჩატარებაშია პრობლემა, – განაცხადა ჰერმან საბომ.

თბილისის საკრებულოში ხელფასები გაზარდეს

4.500, 5.000, 7.000 ლარი – ეს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, მოადგილეებისა და კომისიების თავმჯდომარეების ყოველთვიური ხელფასია.

ანაზღაურების ზრდის შესახებ გადაწყვეტილება საკრებულომ სულ რამდენიმე კვირის წინ მიიღო და ეს გადაწყვეტილება საკრებულოს ყველა წევრს შეეხო.

მატება ხშირ შემთხვევაში 1.300-დან 2.000 ლარამდე თანხით მოხდა.

ოპოზიცია გადაწყვეტილებას აპროტესტებს და მიიჩნევს, რომ მაღალჩინოსნების ანაზღაურების ზრდა, მაშინ როდესაც, ხელისუფლება სოციალურად დაუცველებს დღეში 1 ლარისა და 30 თეთრის ულუფას სთავაზობს, მიუღებელია.

სულ სხვაგვარად ფიქრობენ „ქართული ოცნების“ მთავრობაში – მაგალითად, ეკონომიკის მინისტრი საკრებულოს წევრების ნაყოფიერ შრომაზე საუბრობს.

„გაგიევთან ჩემი მეზობელი ოსისგან 3-წამიანი ზარი ფიქსირდება“

ნიკა გვარამია სუსმა გამოკითხა

– გამაცნეს დასკვნა, ვნახე ვიდეომიყურადების კადრები. დასტურდება, რომ ეს ადამიანები იყვნენ შემოსული, რაც გავრცელდა მედიით და გავიდნენ თავისუფლად ქვეყნიდან.

ამის შესახებ გუშინ, 19 იანვარს, განაცხადა ნიკა გვარამიამ სუსიდან გამოსვლის შემდეგ, სადაც მისი გამოკითხვა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა.

საუბარია შეკვეთილი მკვლელობის ორგანიზების საქმეზე.

როგორც ნიკა გვარამიამ განაცხადა, უსაფრთხოების სამსახურში განუმარტეს, რომ დასახელებულმა პირებმა საქართველო დატოვეს, რადგან არ დადასტურდა, რომ ისინი ქვეყანაში „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის ლიკვიდაციისთვის იყვნენ შემოსულები.

– ახსნა ის არის, რომ იკვლევდნენ და არ გამოვლინდა, რომ ისინი არიან შემოსული ჩემი ლიკვიდაციისთვის და ამიტომ გავიდნენ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისივე თქმით, არსებობს ვერსია, რომ ეს ადამიანები ყურადღების გადატანის მიზნით გადაადგილდებოდნენ ქვეყანაში და არსებობს კიდევ სხვა ჯგუფი, თუმცა ამაზე სუსის გამომძიებლებს არაფერი უთქვამთ.

ნიკა გვარამიას განცხადებით, საქმეს აქვს 3 სუსტი წერტილი. მათ შორისაა ის ბრიფინგი, რომელიც უწყებამ რამდენიმე თვის წინ ჩაატარა და პირდაპირ თქვა, რომ ქვეყანაში ნიკა გვარამიასა და სხვა ჟურნალისტის ლიკვიდაციისთვის ადამიანები შემოვიდნენ.

– ამაზე მივიღე ახსნა-განმარტება, რომ ეს იყო ოპერატიულად საჭირო, მე ვუთხარი, რომ ჩემთვის მაინც გეთქვათ, რეალურად ჩემთვის ეს არ იყო მარტივად აღქმადი. მითხრეს, რომ თქვენი აღშფოთება უნდა ყოფილიყო რეალურიო.

მეორე – გაგიევი შემოსული იყო ქვეყანაში გულის პრობლემების მოსაგვარებლად, არ ფიქსირდება არც ერთი მისი ვიზიტი ექიმთან, საქართველოში ყოფნის განმავლობაში.

მესამე – გაგიევთან მანამდე, მარტში, ჩემი მეზობლისგან, ეთნიკურად ოსისგან, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და ჩემ კორპუსში ჩამოდის ხოლმე დედასთან და მე მას არ ვიცნობ, ფიქსირდება ზარი გაგიევთან. ეს ზარი არის 3-წამიანი, მაგრამ მე ეს არაფერს არ მეუბნება. შეცდომის ვერსიას ავითარებს კონტრტერორისტული სამსახური, თუმცა ის, რომ სამწამიანი იყო ეს ზარი, აუცილებლად ამას არ ნიშნავს, რომ ვინმეს შეეშალა. ეს ზარი შეიძლებოდა ყოფილიყო მარტივი სიგნალი კონკრეტული მოქმედების, წინასწარ შეთანხმებული, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, გამოკითხულია ყველა, მათ შორის ინფორმაციის წყაროც და მისი მეზობელიც, თუმცა რა თქვეს მათ, ეს უცნობია. ნიკა გვარამიას განცხადებითვე, ნახა ფირი, რომლითაც დასტურდება, რომ წყარო დახვდა საქართველოში შემოსულ პირებს.

არტურ გატეევი, სლავა გაგიევი და არტურ გელიევი – ეს ის სამი პირია, რომელთაც რამზან კადიროვის დავალება სისრულეში უნდა მოეყვანათ და ნიკა გვარამიას დაკვეთილი მკვლელობა შეესრულებინათ.

სკანდალურ ინფორმაციას ქილერების პირადი მონაცემების შესახებ გაზეთი „ქრონიკა პლიუსი“ ასაჯაროებს.

მანამდე ნიკა გვარამიას შესაძლო მკვლელობის მომზადების საქმეზე სუსმა ასლან ჩალდიევი გამოკითხა.

ჩალდიევი გამომძიებლების შეკითხვებს 18 იანვარს რამდენიმე საათის განმავლობაში პასუხობდა.

თავად ჩალდიევი მედიაში გავრცელებულ ბრალდებას აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ აქამდე ნიკა გვარამიასთან შეხება არ ჰქონია და ის მას შემდეგ გაიცნო, რაც მედიაში ცრუ ბრალდებები გახმაურდა.

მისივე თქმით, კავშირი არ აქვს არც იმ ადამიანებთან, რომლებიც „ქრონიკა პლუსმა“ მკვლელობის მომზადებაში ამხილა.

დამატებით განმარტება გააკეთა ჩალდიევის უფლებადამცველმა და განაცხადა, რომ გამომძიებლებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს კითხვებზე, რომლებიც ნიკა გვარამიას შესაძლო მკვლელობის მომზადებას უკავშირდება.

მეუფე ნიკოლოზი: „სააკაშვილი ჩემ ეპარქიაში შიდა პატიმრობაში გადავიყვანოთ“

ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი ხელისუფლებას სთავაზობს, მესამე პრეზიდენტი მის ეპარქიაში, შინაპატიმრობაში გადაიყვანონ.

ამის შესახებ მეუფე ნიკოლოზმა 18 იანვარს განაცხადა.

მეუფე ნიკოლოზი მიიჩნევს, რომ პრობლემის ამგვარი მოგვარება ყველა მხარისთვის მისაღები იქნება.

– შემთხვევები ვიცით, რომ სამუდამო პატიმრობა მიუსჯია ქვეყანას თავისი პირველი პირისთვის, რუმინეთში იყო ასე, უგანდაში, რაც მე ვიცი, მიუხედავად ამისა, ასეთი პრეზიდენტებიც კი შიდა პატიმრობაში იყვნენ.

მე აქედანაც კიდევ ერთი განცხადება მინდა გავაკეთო, ჩვენს ხელისუფლებას მივმართო, რომ მე, მაგალითად, პირადადაც თანახმა ვარ, რომ ვითანამშრომლო ხელისუფლებასთან და თუ რაიმე სხვა გამოსავალი არ არსებობს, ჩემს ეპარქიაში, ჩემთან შემიძლია გამოვყო რაღაცა სივრცე, რომელსაც, რა თქმა უნდა, ხელისუფლება გააკონტროლებს.

მგონი ძალიან ბევრი პრობლემა მოიხსნება იმით, რომ ის ვთქვათ, შიდა პატიმრობაში გადმოიყვანონ მთელი სიმკაცრით. ბუნებრივად არის დაცული ჩემი ეპარქია, თუმცა ეს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს – დაცვა და ყველაფერი, – ამბობს მეუფე ნიკოლოზი.

ნინო ლომჯარია: „სააკაშვილისთვის დაზარალებულის სტატუსის მოთხოვნა არგუმენტირებულია“



სააკაშვილისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა არგუმენტირებულია, – ამის შესახებ სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ მიხეილ სააკაშვილისთვის არაადამიანური მოპყრობის გამო დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, თუ მათ ექნებათ მეტი ინფორმაცია, შესაბამის რეკომენდაციას გააჟღერებენ.

– დაზარალებულის სტატუსს რაც შეეხება, ჩვენ კარგად გვესმის ეს მოთხოვნა და ვფიქრობთ, რომ სამართლიანია, თუმცა იმისათვის, რომ ჩვენ გვქონდეს კონკრეტული პოზიცია, საჭიროა საქმის მასალების ნახვა და შესწავლა.

როცა ჩვენ გავცემთ რეკომენდაციას ბრალის წარდგენის თუ დაზარალებულის მინიჭების თაობაზე, ჩვენ გვაქვს სრული სურათი გამოძიებაში არსებული მასალების და მტკიცებულებების. ამ ეტაპზე ვთვლი, რომ ეს მოთხოვნა არის არგუმენტირებული, თუმცა, იმისთვის, რომ ეს რეკომენდაცია სახალხო დამცველმაც გასცეს, გვჭირდება მეტი ინფორმაცია, ვეცდებით, ეს ინფორმაცია მოვიპოვოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან და თუ გვექნება გარკვეულ მტკიცებულებებზე წვდომა, რაც მეტი დამაჯერებლობით მოგვცემს იმის მტკიცების საფუძველს, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საფუძველი არსებობს, ჩვენ ამას ვიტყვით, – განაცხადა ლომჯარიამ.

რაც შეეხება კადრების გამოქვეყნებას, რასთან დაკავშირებითაც საპაკაშვილის ადვოკატებმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიმართეს, ლომჯარიას თქმით, მნიშვნელოვანია პატიმრის მოსაზრება მისი პერსონალური მონაცემების გამოქვეყნების თაობაზე.

– ზოგადად მომხრე ვარ ამ პროცესის, გამოძიების გამჭვირვალობის, რადგან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეა და ის მოვლენები, რომლებიც განვითარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელი პირის გათავისუფლება, რომელიც იყო გარკვეული ვადით არჩეული, ასევე აჩენს ეჭვებს, რომ შესაძლებელია, ამ პროცესებს ჰქონდეს გავლენა მიხეილ სააკაშვილის საქმის გამოძიებაზე, ამიტომ მე მივემხრობოდი, თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დარჩენილ ვადაში ამ გამოძიებას აწარმოებს მაქსიმალური გამჭვირვალობით, – განაცხადა ლომჯარიამ.

„საფულე ვიპოვე, რომელშიც 6.000 იდო და პოლიციაში წავიღე“

18 წლის ბიჭმა ციცი ხოტენაშვილს დაკარგული ფული დაუბრუნა

18 წლის ბიჭმა, ალთაი ფაშაევმა თბილისში, ქუჩაში საფულე იპოვა, რომელშიც 6.000 ლარამდე თანხა იყო. ბიჭმა თანხა პოლიციაში მიიტანა, პოლიციამ კი პატრონს დაუბრუნა.

ალთაი ბოლნისში დაიბადა. ის 4 წლიდან საცხოვრებლად, ოჯახთან ერთად, თბილისში გადმოვიდა. უკვე რამდენიმე წელია მუშაობს და საკუთარი შემოსავალი აქვს.

18 წელი ზუსტად იმ დღეს შეუსრულდა, როცა ფული იპოვა. ამბობს, რომ ფულის აღება წუთითაც კი არ უფიქრია.

– სამსახურიდან სახლში ვბრუნდებოდი. საფულე დავინახე, რომელიც ძირს ეგდო, ავიღე, გავხსენი და შიგნით დიდი თანხა იყო. პოლიციაში წავიღე და ვიდრე ფულის პატრონი არ მოვიდა, იქიდან ფეხი არ მოვიცვალე, – ამბობს ალთაი.

თანხა ციცი ხოტენაშვილმა დაკარგა. ამბობს, რომ თანხის დაკარგვის შესახებ რომ შეატყობინეს, ძალიან ცუდად გახდა. დარწმუნებული იყო, რომ თანხას უკან არავინ დაუბრუნებდა. საბედნიეროდ, ეს თანხა კეთილმა ადამიანმა იპოვა.

– მანქანაში რომ ჩავჯექი, თანხა საფულეში ჩავდე. საფულე, მეგონა, ჩანთაში ჩავიდე, მაგრამ ქურთუკსა და ჩანთას შორის ჩამვარდნია და მანქანიდან რომ გადმოვედი, ძირს დამივარდა, თუმცა თანხის დაკარგვის შესახებ არაფერი ვიცოდი. ჩემი შვილი არასრულწლოვანია და მისი მობილურის ნომერი ჩემს სახელზეა. ბავშვი მეგობართან მყავდა დატოვებული და პოლიციამ მის ნომერზე დარეკა. მეგობარმა დამირეკა და შემატყობინა, რომ საფულე დაკარგული მქონდა.

ხალხო, ღამის მოვკვდი, შოკში ვიყავი. პოლიციაში რომ დავრეკე მითხრეს, – საფულე, ფულთან ერთად, ახალგაზრდა კაცმა იპოვა და პოლიციაში მოიტანაო... სიხარულისგან ვკანკალებდი, ვკიოდი, ვწიოდი. თან ვფიქრობდი, ვინ არის ის კეთილი ადამიანი, ვინც ეს თანხა იპოვა-მეთქი. ხომ შეიძლებოდა, ცდუნებისთვის ვერ გაეძლო. ეს ადამიანი ჩემი გმირია. მას ყველა უნდა იცნობდეს, – უთხრა ამბებს ციცი ხოტენაშვილმა.

რუსთავში ავარიას 2 თვის ბავშვი ემსხვერპლა

18 იანვარს რუსთავში, შარტავას გამზირზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ერთმანეთს „ჰონდას“ და „მერსედესის“ მარკის ავტომობილები შეეჯახა, ერთ-ერთი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, რკინის მოაჯირი შეანგრია და ბორდიურზე ავარდა.

შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა, 2 თვის ბავშვი კი დაიღუპა, რომელიც ჰონდაში იჯდა.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა.

დაშავებულებს შორის არიან გარდაცვლილი ჩვილის დედა, მამა და ასევე მცირეწლოვანი ძმა, რომელიც კლინიკა „რუსთავიდან“ თბილისის სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

ავარიის შედეგად დაშავებული ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც კლინიკა რუსთავში აცხადებენ, პაციენტი მრავლობითი მოტეხილობებით, რეანიმაციულ განყოფილებაშია გადაყვანილი.

ქალი მენჯ-ბარძაყზე საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას, თუმცა, რთული ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ოპერაციის ჩატარება ვერ ხერხდება.

კლინიკის წარმომადგენლების ინფორმაციით, შესაბამისი ქირურგიული ჩარევები მდგომარეობის დასტაბილურებისთანავე განხორციელდება.

ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციისა და სამაშველო სამსახურის ეკიპაჟები.

„ნევროლოგიური სიმპტომატიკა, წონასწორობის დარღვევა, სისუსტე“

როგორია მე-3 პრეზიდენტის ჯანმრთელობა

– პაციენტის მდგომარეობა საყურადღებო რჩება – არის ნევროლოგიური სიმპტომატიკა, რომელიც 12 დეკემბრის ვიზიტის შემდეგ არ გაუმჯობესებულა.

ამის შესახებ ომბუდსმენის მიერ ორგანიზებული სამედიცინო კონსილიუმის ექიმმა თენგიზ წულაძემ განაცხადა.

– გამოხატულია პოლინეიროპათიის და მხედველობითი სიმპტომატიკა, წონასწორობის დარღვევა, სისუსტე. რჩება პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, დეპრესია და ანემია, რომელიც მანამდეც იყო, – განაცხადა თენგიზ წულაძემ.

მისი თქმით, გარდა მედიკამენტური მკურნალობისა, უნდა ჩაერთოს ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაცია, რომელიც საპატიმროს პირობებში ნაკლებად რეალისტურია, თუმცა შეუძლებელი არ არის და მაინც უნდა იყოს ნაცადი.

– სხვა რეკომენდაციები ამ ეტაპზე ჩვენ არ გვაქვს. რაც შეეხება ნარჩენ ნევროლოგიურ სიმპტომატიკას, სავარაუდოდ, ენცეფალოპათიის ფონზე განვითარებული თიამინის დეფიციტის შედეგად გამოწვეული პოლინეიროპათიის შედეგი უნდა იყოს. ასევე ვფიქრობთ, რომ ფსიქოთერაპია და ფიზიკური რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს მისი ადეკვატური კვების რეჟიმის აღდგენას და დამატებითი კვლევის თვალსაზრისით მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრამა უნდა იქნას ჩატარებული, – განაცხადა წულაძემ.

მისივე თქმით, კონსილიუმის მიერ შემოთავაზებული მკურნალობა და რეაბილიტაცია შესაძლებელია, რომ საქართველოშიც ჩატარდეს.

სააკაშვილის ადვოკატის, ნიკა გვარამიას განცხადებით, სახალხო დამცველის დასკვნა ძალიან მძიმეა.

როგორც გვარამიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ომბუდსმენიც ამბობს, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაში გაუმჯობესება არ არის.

– ეს ის არის, რასაც ჩვენ მოველოდით. ჩემი აზრით, ძალიან მძიმეა სახალხო დამცველის დასკვნა. მოზომილი „ვორდინგით“ რომ არის ნათქვამი, სრულიად გასაგებია, რადგან ვსაუბრობთ სახალხო დამცველსა და არა მხარეზე. მაგრამ დასკვნა არის ძალიან მძიმე – ის, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაში გაუმჯობესება არ არის და აზრი არ აქვს კონსილიუმის შესვლასაც კი, ვიდრე ცვლილებები არ იქნება. ბუნებრივია, ეს არის ის, რასაც ჩვენ ამდენი ხნის განმავლობაში ვამბობთ, – განაცხადა გვარამიამ.

ნავთლუღში 2 სახლს ცეცხლი გაუჩნდა

გუშინ, 19 იანვარს, თბილისში, ნავთლუღის დასახლებაში ხანძარი იყო.

ნთელა იანქოშვილის ქუჩაზე ცეცხლი 2 საცხოვრებელ სახლს გაუჩნდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

ხანძრის ლიკვიდაცია დროულად მოხერხდა.

ბათუმში 3 მანქანას საბურავები დაუჭრეს

ბათუმში ე.წ. გოროდოკის დასახლებაში სამ ავტომანქანას საბურავები დაუჭრეს.

ადგილობრივების განმარტებით, შემთხვევა 19 იანვარს გამთენიისას მოხდა.

ერთ-ერთი მეპატრონე მომხდარს პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირებს.

ლელა ჩხაიძის თქმით, იგი ოპოზიციის, კერძოდ, ნაციონალური მოძრაობის მომხრეა, ერთი წლის წინ სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნითაც გაათავისუფლეს, 19 იანვარს კი მანქანა დაუზიანეს.

სხვა მანქანების მეპატრონეები ქვეყანაში გაზრდილ კრიმინალზე საუბრობენ.

ბლინკენი: „რუსეთს შეუძლია უკრაინას მოკლე დროში დაესხას თავს“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი აცხადებს, რომ რუსეთს შეუძლია უკრაინის წინააღმდეგ თავდასხმა ძალიან მოკლე დროში განახორციელოს.

ბლინკენმა კიევში აშშ-ის საელჩოში დიპლომატებს განუცხადა, რომ რუსეთის მიერ უკრაინის საზღვართან ათიათასობით ჯარისკაცის მობილიზება მიზეზის გარეშე მიმდინარეობს და არსებობს გეგმები ამ ძალის კიდევ უფრო გაზრდის შესახებ.

– ჩვენ ვიცით, რომ არსებობს გეგმები ამ ძალის კიდევ უფრო გაზრდის შესახებ ძალიან მოკლე დროში და ეს აძლევს პრეზიდენტ პუტინს შესაძლებლობას, ასევე ძალიან მოკლე დროში განახორციელოს შემდგომი აგრესიული ქმედება უკრაინის წინააღმდეგ, – აღნიშნა ბლინკენმა.

ენტონი ბლინკენი კიევში გუშინ, 19 იანვარს, ჩაფრინდა.

ვიზიტის ფარგლებში ის უკრაინის პრეზიდენტს, ვლადიმერ ზელენსკის და საგარეო საქმეთა მინისტრს, დმიტრო კულებას შეხვდა.

კიევიდან ბლინკენი ბერლინში გაემგზავრება, სადაც გერმანელ, ბრიტანელ და ფრანგ კოლეგებს შეხვდება და რუსეთის ნებისმიერ სამხედრო მოქმედებაზე შესაძლო რეაგირებას განიხილავს.

21 იანვარს ჟენევაში ბლინკენისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის, შეხვედრა გაიმართება.

ერდოღანმა პუტინი და ზელენსკი თურქეთში მიიწვია

– რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის სერიოზული დიალოგი მიმდინარეობს და თურქეთი მზადაა, ხელი შეუწყოს რუსეთსა და უკრაინას შორის უთანხმოების აღმოფხვრას.

ამის შესახებ პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის პრესსპიკერმა იბრაჰიმ კალინმა განაცხადა.

მისი თქმით, თურქეთს არ სურს, რუსეთსა და უკრაინას შორის რაიმე სახის სამხედრო დაპირისპირება ან ომი იხილოს და მზადაა ნებისმიერი როლის შესასრულებლად რუსეთსა და უკრაინას შორის დაძაბულობის შესამცირებლად.

იბრაჰიმ კალინის თქმით, თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტები მოლაპარაკებებისთვის თურქეთში მიიწვია.

– მან ორივე მოიწვია თურქეთში, თუ სურთ აქ შეხვედრა და მათ შორის არსებული საკითხებისა და უთანხმოების მოგვარება, – განაცხადა იბრაჰიმ კალინმა.

გერმანიის ჯანდაცვის მინისტრი სავალდებულო ვაქცინაციას ითხოვს

გერმანიაში გასული დღე-ღამის განმავლობაში კორონავირუსის 112.323 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, რაც რეკორდულად მაღალი დღიური მაჩვენებელია ქვეყნისთვის პანდემიის დაწყების დღიდან.

ამასთან, გავრცელების შვიდდღიანი მაჩვენებელი ყოველ 100.000 ადამიანზე 584.4 შემთხვევამდე გაიზარდა.

გერმანიის ჯანდაცვის მინისტრის კარლ ლაუტერბახის განცხადებით, ომიკრონ ვარიანტის გავრცელებით გამოწვეული ახალი ტალღა პიკს რამდენიმე კვირაში მიაღწევს.

– ვფიქრობ, პიკს თებერვლის შუა რიცხვებში მივაღწევთ, შემდეგ კი შემთხვევების რაოდენობა, სავარაუდოდ, შემცირებას დაიწყებს, – აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, შემთხვევების რეალური რაოდენობა ოფიციალურ მონაცემებს, შესაძლოა, დაახლოებით ორჯერ აღემატებოდეს.

გერმანიის ჯანდაცვის მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ სავალდებულო ვაქცინაცია სწრაფად, აპრილში ან მაისში უნდა დაწესდეს, იმისთვის რომ შემოდგომაზე დაინფიცირების მორიგი ტალღის თავიდან აცილება მოხდეს.

კიევის სასამართლომ პოროშენკო გაათავისუფლა

კიევის პეჩორის რაიონულმა სასამართლომ უკრაინის მეხუთე პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო პირადი თავდებობით გაათავისუფლა.

გუშინ, 19 იანვარს, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა პოროშენკოსთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე..

ბრალდება გირაოს სახით ერთ მილიარდ გრივნასაც ითხოვდა.

პოროშენკო იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ სასამართლოში დაკითხვაზე პირველივე მოთხოვნისთანავე გამოცხადდება.

ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, პოროშენკო ვალდებულია, არ დატოვოს კიევის ოლქი და საზღვარგარეთ გასამგზავრებელი პასპორტი ჩააბაროს.

სხდომის პარალელურად, ხმაური იყო სასამართლოსთან, სადაც პოროშენკოს მხარდამჭერები იყვნენ შეკრებილი.

პოლიციამ მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზიც გამოიყენა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცი შიშველი ქალის გადასარჩენად მდინარეში გადახტა და თავად დაიღუპა

ამერიკის კენტუკის შტატში მამაკაცი გაყინულ წყალში მას შემდეგ დაიღუპა, რაც ცადა შიშველი ქალის გადარჩენა, რომელიც იხრჩობოდა.

14 იანვარს გამვლელებმა მდინარე ოჰაიოსთან შიშველი ქალი შენიშნეს, რომელიც პირდაპირ წყლისკენ გარბოდა. თვითმხილველის თქმით, ის ველოსიპედის ბილიკის ბეტონის ღობეს გადაახტა, შემდეგ ლითონის ღობეს გადაევლო და ყინულიან წყალში გადახტა.

ადვოკატ ზაკ ბერის თქმით, ის ამ ყოველივეს ოფისის ფანჯრიდან ადევნებდა თვალს, მოგვიანებით კი კოლეგა დევიდ ლამბერტუსთან ერთად წყლისკენ გაიქცა. მისი მტკიცებით, შიშველი ქალი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ტრანსში იმყოფებოდა.

მდინარესთან მისულმა ადვოკატებმა შენიშნეს მამაკაცი, რომელიც ქალის გადარჩენას აპირებდა. ისინი დაინტერესდნენ, იცოდა თუ არა მან ცურვა, რაზეც მისგან დადებითი პასუხი მიიღეს, ამის შემდეგ კი კაცმა გაიხადა და წყალში გადახტა.

როგორც კი მამაკაცი წყალში აღმოჩნდა, ძლიერმა დინებამ გაიტაცა. თვითმხილველებმა სამაშველო სამსახური გამოიძახეს, მაგრამ ძლიერი დინების გამო ორი საათის შემდეგ სამაშველო ოპერაცია შეწყდა. დაკარგულების ძებნა კი მაშინვე განახლდება, როგორც კი გამოიდარებს.

მასწავლებელმა საკუთარ ეზოში რომის იმპერიის დროინდელი ბეჭედი იპოვა

ინგლისის კორნუოლის საგრაფოს ქალაქ სენტ-ჯასტში მათემატიკის მასწავლებელმა და გადამდგარმა სამხედრო პოლიციის ოფიცერმა საკუთარი სახლის ეზოში რომის იმპერიის დროინდელი ბეჭედი იპოვა.

54 წლის მაიკ ბერკის თქმით, ერთი წლის წინ, ტელესერიალ „დეტექტორის“ ნახვის შემდეგ, ის განძის ძებნამ გაიტაცა. მეუღლემ მის ახალ გატაცებას მხარი დაუჭირა და ლითონმაძიებელი მოწყობილობა აჩუქა. ახალი წლის წინ ბერკმა გადაწყვიტა მოწყობილობა საკუთარ სახლის ეზოს გამოსაკვლევად გამოეყენებინა.

– ჩვეულებრივ ბაღში განძის ძიების უფლებას არ მაძლევენ, ვინაიდან იქ ჩემს მეუღლეს ბევრი ყვავილი აქვს, მაგრამ ამჯერად გადავწყვიტე, რახან ყველა ყვავილი კვდება, ჩვენ კი ბაღის დალაგებას ვაპირებთ, იხ წინააღმდეგი არ იქნებოდა, – განაცხადა ინგლისელმა. შედეგად, ძებნის დროს მან უძველესი ოქროს ბეჭედი აღმოაჩინა, რომლის წონამ 12,8 გრამი შეადგინა.

ბრიტანელმა ივარაუდა, რომ ის შესაძლოა რომის იმპერიის დროს ყოფილიყო დამზადებული, კერძოდ, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ან მეორე საუკუნეში. მან საკუთარი ვარაუდის დასამტკიცებლად ბეჭედი ადგილობრივ მუზეუმში მიიტანა. თუ ბერკი მართალი აღმოჩნდება, მაშინ ეჭვქვეშ დადგება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რომაელებს დასავლეთ კორნუოლამდე არ მიუღწევიათ.

გაირკვა, რომ ბეჭედზე გამოსახულია მოსავლისა და ნაყოფიერების ძველრომაული ქალღმერთი ცერერა. ბეჭდის გარდა ბერკმა საკუთარ ეზოში 70-იანი წლების ორპენსიანი მონეტა და წინა ათწლეულის რამდენიმე მონეტაც იპოვა.

ეკონომიურმა ქალმა ოჯახი აიძულა, მრავალჯერადი გამოყენების ტუალეტის ქაღალდით ესარგებლათ

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ კანზას-სიტის მცხოვრებმა ქალმა საკუთარი მრავალჯერადი გამოყენების ტუალეტის ქაღალდი გამოიგონა და ოჯახის წევრები აიძულა. მისით ესარგებლათ, ვინაიდან არ სურდა ფულის ხარჯვა ახალი ტუალეტის ქაღალდის შეძენაზე.

ქალის, სახელად ანჯელას, ოჯახი ტუალეტის ქაღალდად ქსოვილის ზოლებს იყენებს, შემდეგ მას რეცხავს და განმეორებით მოიხმარს.

– ნაჭრების კალათის ქვეშ მომცრო ზომის სათლი გვიდგას, რომელშიც მათ ვყრით, რათა შემდეგ გავრეცხოთ, – განაცხადა ქალმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ მისი ოჯახი საშუალო შეძლების მქონე კლასს განეკუთვნება და კარგი შემოსავალი აქვს, თუმცა ტუალეტის ქაღალდში ფულის გადაყრის სურვილი არ გააჩნიათ.

– ჩვენ ხუთ წელზე მეტია ქსოვილის ნაჭრებს ვხმარობთ, რომლებსაც სახლში ვინახავთ. ეს თვეში 20 დოლარზე მეტი თანხის დაზოგვის საშუალებას გვაძლევს, რაც წელიწადში 240 დოლარის ეკონომიაა, – განაცხადა ქალმა.

მისი თქმით, მის საახლობლოში ბევრი არ ეთანხმება ეკონომიის მის ასეთ უჩვეულო მეთოდს. თავიდან არც მისი მეუღლე დაეთანხმა ანჯელას იდეას, მაგრამ ახლა ამას შეეჩვია, ვინაიდან უფრო მოსახერხებელია რაიმე უფრო მყარით სარგებლობა, ვიდრე ტუალეტის ქაღალდია, მიაჩნია ქალს.

სპილო ტურისტებიან მანქანას თავს დაესხა და გადააბრუნა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კვაზულუ-ნატალის პროვინციაში მდებარე ისიმანგალისოს ჭაობიან რაიონში, გააფთრებული სპილო საფარის დროს თავს დაესხა ტურისტების ყველგანმავალს და გააადაბრუნა, აღნიშნული შემთხვევა ერთ-ერთმა თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც სპილო მოულოდნელად გამოეკიდა ავტომობილს, რომელშიც ოთხსულიანი ოჯახი იჯდა, მათ შორის, ორი ბავშვი. ტურისტები მანქანით ეროვნულ პარკში გადაადგილდებოდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოში, რომელიც 21 წამი გრძელდება, ჩანს, როგორ ესხმის სპილო თავს თეთრი ფერის ფორდის მარკის ყველგანმავალს.

შეშინებული თვითმხილველები სასოწარკვეთილები ასიგნალებენ თავიან მანქანას იმის იმედით, რომ გააფთრებულ ცხოველს დააფრთხობენ.

ინციდენტის შედეგად ოჯახი შოკში ჩავარდა, თუმცა მიღებული დაზიანებები უმნიშვნელო აღმოჩნდა. პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა პირობა დადო, რომ ცხოველის აგრესიული ქმედების მიზეზებს აუცილებლად დაადგენენ.

ქალმა სელფი ჩაძირული მანქანის ფონზე გადაიღო

კანადელმა ქალმა სელფი გადაიღო მანქანის ფონზე, რომელიც ქალაქ ოტავას მახლობლად მდინარე რიდოში იძირებოდა.

აღნიშნული ინციდენტი 16 იანვარს, დილით ადრე მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ავტომობილი ყინულებში გაყინულ მდინარეზე მოძრაობის შედეგად აღმოჩნდა. ვიდეო და ფოტოსურათები შემთხვევის ადგილიდან სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა.

– მან გადაწყვიტა, ეს მომენტი ფოტოზე აღებეჭდა, იმ დროს, როდესაც ხალხი ღელავდა და მის დახმარებას ცდილობდა, – დაწერა ტვიტერში სოციალური ქსელის მომხმარებელმა ლინდა დუგლასმა. ქალის გადასარჩენად თვითმხილველებმა კაიაკის გამოყენება გადაწყვიტეს. მათ ნავს უბიძგეს, ხოლო როდესაც ქალი მასში აღმოჩნდა, კაიაკი უსაფრთხო ადგილამდე თოკით მიაცურეს, რომელიც ჰიდროციკლზე იყო ჩაბმული. მოგვიანებით ადგილობრივმა პოლიციამ ყველანი, ვინც სამაშველო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა, საზრიანობისთვის შეაქო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახლის სხვენში ნაპოვნი თურქი სულთნების პორტრეტები ათასობით ფუნტად შეფასდა

შოტლანდიაში სახლის სხვენში ოსმალეთის იმპერიის მმართველების ძველი პორტრეტები იპოვეს და ისინი 50-70 ათას ფუნტ სტერლინგად შეაფასეს.

სურათები შოტლანდიის ქალაქ ჯედბოროს ერთ-ერთი სახლის სხვენში ინახებოდა. მათზე გამოსახულია სულთანი სულეიმან I ბრწყინვალე, რომელიც ოსმალეთის იმპერიას XVI საუკუნეში მართავდა, სულთანი ბაიაზიდ I ელვისებური, რომელიც ქვეყანას სათავეში XIV საუკუნის ბოლოს ედგა და სულთანი ბაიაზიდ II, რომელიც ტახტზე 1481 წელს ავიდა.

სოტბის აუქციონის სახლის შოტლანდიის განყოფილების ხელმძღვანელმა დევიდ მაკდონალდმა სხვენში აღმოჩენილ პორტრეტებს წარმოუდგენელი უწოდა. ის ვარაუდობს, რომ პორტრეტები XVII საუკუნეში იქნა შეძენილი ლოტიანის მესამე გრაფის მიერ ევროპაში მოგზაურობის დროს. ვარაუდობენ, რომ პორტრეტებს აუქციონზე გასაყიდად უახლოეს დღეებში გაიტანენ.

შედეგები

18 იანვარი

ფეხბურთი

აფრიკის თასი

ზიმბაბვე-გვინეა	2:1
მალავი-სენეგალი	0:0
გაბონი-მაროკო	2:2
განა-კომორი	2:3

ინგლისი. პრემიერლიგა

ბრაიტონი-ჩელსი	1:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	22	18	2	2	54-13	56
2.ლივერპული	21	13	6	2	55-18	45
3.ჩელსი	23	12	8	3	46-18	44
4.ვესტ ჰემი	22	11	4	7	41-30	37
5.არსენალი	20	11	2	7	33-25	35
6.ტოტენჰემი	18	10	3	5	23-20	33
7.მანჩესტერი	20	9	5	6	32-29	32
8.ვულვზი	20	9	4	7	17-15	31
9.ბრაიტონი	21	6	11	4	22-22	29
10.ლესტერი	18	7	4	7	31-33	25
11.კრ.პალასი	21	5	9	7	30-31	24
12.საუთჰემპტონი	21	5	9	7	25-33	24
13.ასტონ ვილა	20	7	2	11	27-32	23
14.ბრენტფორდი	21	6	5	10	24-33	23
15.ლიდსი	20	5	7	8	24-39	22
16.ევერტონი	19	5	4	10	24-34	19
17.უოტფორდი	19	4	2	13	23-37	14
18.ნორვიჩი	21	3	4	14	10-45	13
19.ნიუკასლი	20	1	9	10	20-43	12
20.ბარნლი	17	1	8	8	16-27	11

ინგლისი. ჩემპიონლიგა

პრესტონი-შეფილდი	2:2
ფულემი-ბირმინგემი	6:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბეტისი-ალავესი	4:0
კადისი-ესპანიოლი	2:2

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	21	15	4	2	45-18	49
2.სევილია	20	13	5	2	31-13	44
3.ბეტისი	21	11	4	6	37-24	37
4.სოსიედადი	20	9	6	5	22-21	33
5.ატლეტიკო	20	9	6	5	33-24	33
6.ბარსელონა	20	8	8	4	31-23	32
7.რაიო	20	9	4	7	27-21	31
8.ვილიარეალი	21	7	8	6	33-23	29
9.ბილბაო	21	6	10	5	20-17	28
10.ვალენსია	20	7	7	6	32-32	28
11.ესპანიოლი	21	7	6	8	25-26	27
12.ოსასუნა	20	6	7	7	20-25	25
13.გრანადა	20	5	9	6	24-27	24
14.სელტა	20	6	5	9	22-23	23
15.ელჩე	21	5	7	9	21-28	22
16.მალიორკა	20	4	8	8	17-30	20
17.ხეტაფე	20	4	6	10	13-21	18
18.ალავესი	21	4	5	12	16-34	17
19.კადისი	21	2	9	10	15-34	15
20.ლევანტე	20	1	8	11	21-41	11

ბელგია. ა დივიზიონი

სერენი-სენ ჟილუა	0:4

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-რეინჯერსი	1:1
დ.იუნაიტედი-სტ.მირენი	1:2
ლივინგსტონი-დანდი	2:0
როსი-მოზერველი	3:1
ჰართსი-სტ.ჯონსონი	2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქონია-ადანა	1:0
ქარაგუმრუქი-ბეშიქთაში	0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ავთანდილ ასათიანი: „საქართველოსთვის ყველაფერს გავაკეთებთ“

საქართველოს ფუტსალის ნაკრები, სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად, 19 იანვარს ნიდერლანდებში გაემგზავრა. ავთანდილ ასათიანის გუნდი ჯგუფური ეტაპის სამივე მატჩს ქალაქ გრონინგენში გამართავს. საქართველოს ნაკრები ევროპირველობაზე დ ჯგუფში იასპარეზებს. ფლეი ოფის 2 საგზურისთვის კი, საქართველოსთან ერთად, ესპანეთი, აზერბაიჯანი და ბოსნია-ჰერცეგოვინა იბრძოლებენ.

ევროპის ჩემპიონატი 19 იანვარს დაიწყო, ჩვენი ეროვნული გუნდი კი საქმეში 22 იანვარს ჩაერთვება და აზერბაიჯანს დაუპირისპირდება. 26 იანვარს მეტოქედ ბოსნია-ჰერცეგოვინა გვეყოლება, ხოლო 29 იანვარს – ესპანეთი.

ევროპის მთავარ სანაკრებო ფორუმზე წასვლამდე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ავთანდილ ასათიანმა გუნდთან ერთად გავლილი გზა გაიხსენა და თავისი გუნდის მიზნების შესახებ ისაუბრა.

ავთანდილ ასათიანი:

– ამდენი წელია ამ სპორტში ვარ და ევროპის ჩემპიონატზე გასვლა ჩემი ნატვრა იყო. ეს მომენტი რომ ახლოვდება, რა თქმა უნდა, პულსაცია იმატებს. სასწაული გრძნობაა და ბევრჯერ მითქვამს, რომ ყველას მინდა გავუზიარო და მოვუყვე, რასაც ვგრძნობ. ამასთან ერთად, ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან ქვეყანას კონტინენტის ყველაზე მაგარ ტურნირზე წარმოადგენ და, პირველ რიგში, სიამაყის გრძნობა გეუფლება.

გადამწყვეტი მომენტი

– მწვრთნელი ბევრ რამეს გრძნობ. იმასაც, რომ თამაში წაგებულია, მაგრამ მაინც ბოლომდე იბრძვი. გადამწყვეტი იყო ის ეტაპი, როდესაც წინა ევროპირველობის ფლეი ოფში გავედით. რუმინეთის ნაკრებთან გვქონდა სასწაული თამაში, რომელიც, სამწუხაროდ, წავაგეთ. სწორედ იმ წაგებამ დაგვანახა, რომ გვაქვს რესურსი და შეგვიძლია ვითამაშოთ იქ, სადაც მოვხვდით. ამიტომ, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი. მართალია ვერ გავედით, მაგრამ გავაკეთეთ სწორი ანალიზი. ამაში დიდი როლი ფეხბურთის ფედერაციამაც ითამაშა, რადგან ის მოთხოვნები, რაც გვქონდა, შეგვისრულეს და ჩვენი მიზანი რეალობად ვაქციეთ.

მარცხის შიში

– როდესაც ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე, ფუტსალს ძალიან რთული პერიოდი ედგა. ეს სპორტი თითქმის არავინ იცოდა და სულ წაგებები გვქონდა. სწორედ ამ წაგებებით გადავახეთ მარცხის შიში და კომპლექსი, წნეხი მოგვეხსნა. დავიწყეთ სხვა ეტაპზე გადასვლა. ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ ეს ყველაფერი შენარჩუნდეს და მოგება სენსაციად აღარ ჩაითვალოს.

ევროპის ჩემპიონატის საგზური

– ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობა საფრანგეთში პირველმა გასვლამ მოგვიტანა, როდესაც 4:4 ვითამაშეთ. ეს მოპოვებული ქულა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სულ ვეუბნებოდი ბიჭებს, რომ საფრანგეთში თუ არ წავაგებდით, ბოლო ტურში ევროპის ჩემპიონატისთვის ბრძოლის შანსი გვექნებოდა. ფინალამდე მისვლა ვისწავლეთ და სწორედ იმ ქულამ მიგვიყვანა გადამწყვეტ მატჩამდე თბილისში.

მეტოქეები და მიზნები ევროპის ჩემპიონატზე

– ესპანეთზე საუბარი და დროის დაკარგვა არც ღირს... ბოსნია-ჰერცეგოვინა საკვალიფიკაციო ეტაპის მთავარი აღმოჩენა იყო, რადგან ურთულეს ჯგუფში დაიკავა პირველი ადგილი, რაც წარმოუდგენელია, რომ ფუტსალში შემთხვევით მოხდეს. აზერბაიჯანის ნაკრები უმაღლეს დონეზეა ინდივიდუალური თამაშით, რადგან ძალიან მაღალი დონის ბრაზილიელი მოთამაშეები ჰყავთ. ვფიქრობ, რომ რთული ჯგუფია, თუმცა არც გვქონია ილუზია, რომ ევროპის ჩემპიონატზე იოლი მეტოქეები გვეყოლებოდა.

არასერიოზული დაპირება იქნება, თუ ვიტყვი, რომ გავალთ და სამივე თამაშს მოვიგებთ. თუმცა გულშემატკივარს ვპირდები, რომ ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნისთვის. წარმატების მისაღწევად თავი გვაქვს გადადებული. გვესმის, რომ ძალიან რთული პროცესია, თუმცა, ამავდროულად საინტერესო და სასიამოვნოა. ვფიქრობ, ბიჭებისთვის იქნება ყველაზე მაგარი, რადგან ამდენი წვალების შემდეგ აღმოჩნდნენ იქ, სადაც მოხვედრა, მთელ ქვეყანას, დიდი ხანია გვინდა. რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი მაქსიმუმს გააკეთებს. დიდი როლი ექნება ფსიქოლოგიურ ფაქტორს, განსაკუთრებით პირველ თამაშში. აზერბაიჯანს ეს წნეხი არ ექნება, რადგან მეტოქე ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატზე რეგულარულად თამაშობს.

გუნდის შემადგენლობა

– ძალიან გაგვიმართლა ნატურალიზებულ ფეხბურთელებში. გარდა იმისა, რომ პროფესიონალები არიან, ძალიან კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ და ისე შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში, რომ პრობლემა საერთოდ არ გვქონია. ამაში დიდი როლი მიუძღვით ჩვენს ფეხბურთელებსაც, რომლებმაც არ აგრძნობინეს, რომ სხვა გუნდში, სხვა ქვეყანაში მოვიდნენ.

ვფიქრობ, სწორად შერჩეული რგოლები იყო გაძლიერებული და ამ ბიჭებმაც გაამართლეს, რისთვისაც აუცილებელია მათ კიდევ ერთხელ გადავუხადოთ მადლობა. მინდა გავიხსენო საფრანგეთთან მატჩის მომენტი, როდესაც საოცარი თამაშის შემდეგ ბინიო დროშას კოცნიდა... უბრალოდ შეუძლებელია ეს ითამაშო, აუცილებლად გულიდან უნდა მოდიოდეს და ძალიან დასაფასებელია.

გულშემატკივარი

– ძალიან ბევრ გულშემატკივარს უნდა საქართველოს ქომაგობა ნიდერლანდებში და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გულშემატკივარი მწვრთნელის პირველი დამხმარეა, რადგან ფეხბურთელების მოტივირებაზე იმ მომენტში მწვრთნელს დროის დახარჯვა აღარ სჭირდება. საფრანგეთთან მოგებულ გადამწყვეტ მატჩზე ტრიბუნები 33%-ით იყო შევსებული. როდესაც ქომაგების ხმა გვესმოდა, ძალიან დიდი მუხტი მოდიოდა. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა გამარჯვება. არ ვიცით, რა იქნებოდა, გულშემატკივარი რომ არ მოსულიყო. ძალიან მომთხოვნები არიან, სამაგიეროდ, საოცარ სიყვარულს გვიბრუნებენ ტრიბუნიდან.

ავთანდილ ასათიანის გუნდი ნიდერლანდებში 17 ფეხბურთელის შემადგენლობით გაემგზავრა, ხოლო სამატჩო განაცხადში 14 მათგანი მოხვდება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: ზვიად კუპატაძე (იუგრა, რუსეთი), ალექსანდრე ჯამბურია (თელასი), თორნიკე ბუკია (კემი, ფინეთი);

წინა ხაზი: შაგინია (მალიორკა, ესპანეთი), ელისანდრო (ბრაგა, პორტუგალია), ბრუნო პეტრი ბრანკო (ხაენი, ესპანეთი), თალეს ფეიტოსა (კანდოსო, პორტუგალია), რონინიო (ჰალე-გოოიკი, ბელგია), ვილიანი (იუგრა, რუსეთი), არჩილ სებისკვერაძე (გომელი, ბელარუსი), გიორგი ღავთაძე (სიბირიაკი, რუსეთი), ვახტანგ კეკელია (სიპარი, ტაჯიკეთი), ირაკლი თოდუა, შოთა თოფურია, ვახტანგ ჯვარაშვილი, ნუკრი ჭუმბურიძე (ყველა თელასი), ნიკოლოზ კურტანიძე (პსპ).

მაკრონი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური სპონსორი გახდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) ტექნიკური სპონსორი იტალიური კომპანია „მაკრონი“ გახდა. სპორტული ეკიპირების მწარმოებელი ერთ-ერთი წამყვანი ბრენდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან 6 წლის განმავლობაში ითანამშრომლებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და „მაკრონს“ შორის ხელმოწერის ცერემონია სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა. სასპონსორო ხელშეკრულებას ხელი სფფ-ს პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და „მარკონის“ სპორტული მარკეტინგის დირექტორმა რობერტო კაზოლარიმ მოაწერეს. ხელმოწერის ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტები – ალექსანდრე იაშვილი და აკაკი ალადაშვილი.

ლევან კობიაშვილი:

– ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როდესაც ტექნიკური პარტნიორი გვეყოლება. „მაკრონი“ საერთაშორისო ბრენდია და ძალიან ბევრ გუნდთან თანამშრომლობს, როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე. გარდა ამისა, წლებია უეფას პარტნიორია. გვიხარია, რომ ასეთი პარტნიორი შევიძინეთ. მომდევნო 6 წლის განმავლობაში, როგორც ვაჟთა და ქალთა ეროვნული ნაკრებები, ასევე ფუტსალის ნაკრები და ყველა ასაკობრივი გუნდი, მათი ფორმით იქნება აღჭურვილი. ეს ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მინდა, ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ექსკლუზიურად ჩვენთვის შექმნილი სპეციალური ფორმა გვექნება და ზედ ჩვენი იდენტობა იქნება. ეს იქნება ჩვენი დიზაინით შექმნილი მაისური, რომელიც მხოლოდ ჩვენ გვეცმევა. მომდევნო თვეების განმავლობაში კიდევ უფრო მეტს ვიმუშავებთ ფორმის დასახვეწად, რადგან ჩვენი ეროვნული ნაკრები მომდევნო ოფიციალურ მატჩებს ამ მაისურებით ითამაშებს. ხანგრძლივი სასიხარულოა, რომ მაკრონთან ისეთ შეთანხმებას მივაღწიეთ, რომელიც ორივე მხარეს სურდა. ჩვენთვის ძალიან დიდი დაფასებაა, რომ ამდენად გვენდობიან და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

რობერტო კაზოლარი:

– უპირველესად, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ბატონ პრეზიდენტს მოწვევისთვის. ეს თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩვენთვის, ისე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის. ჩვენი თანამშრომლობა ძალიან ბევრ ღირებულებაზეა დაფუძნებული, საიდანაც ორს განსაკუთრებით გამოვყოფდი – ვნება და ამბიცია. საქართველოს მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრები ელის და გვიხარია, რომ ამის ნაწილი ვიქნებით. მაკრონი 100 %-ით კმაყოფილია ამ თანამშრომლობით და მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მენეჯმენტის მუშაობის მაღალი დონე. ნამდვილად გაგვიმართლა, რომ ამ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობთ.

ახალი სათამაშო ფორმით პირველ ოფიციალურ მატჩებს საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები 2022 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჩაატარებს, რომელიც 19 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით ნიდერლანდებში გაიმართება.

ლევან კობიაშვილი:

– ყველას გვიხარია, რომ პირველად, ისტორიაში, ჩვენი ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ცხადია, მხოლოდ მონაწილეობა არ გვაკმაყოფილებს და გვინდა გარკვეული შედეგი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან რთულია. ვიცით, თუ რა დონის მოწინააღმდეგეები გვეყოლება, მაგრამ ყველა დავრწმუნდით, რომ ჩვენს გუნდს აქვს შესაძლებლობა ნებისმიერ მეტოქესთან ღირსეულად ითამაშოს და წარმატებას მიაღწიოს. ასე რომ, ოპტიმისტურად ვართ და იმედია ჩვენი მოლოდინი გამართლდება.

ერთა ლიგის ახალი სეზონიდან საქართველოს ეროვნულ ნაკრებს „მაკრონის“ მიერ წარმოებული ექსკლუზიური ფორმა ექნება. ანალოგიური ფორმით ითამაშებს საქართველოს ყველა ნაკრები გუნდი.

„მაკრონი“ 1971 წელს დაარსებული იტალიური ბრენდია. კომპანიის მიერ წარმოებული ეკიპირებით უეფას წევრი 7 ნაკრები ასპარეზობს. მაკრონი არაერთი ევროპული კლუბის ტექნიკური სპონსორია. მათ შორის არიან ლაციო, ბოლონია, ჰელას ვერონა, სამპდორია, უდინეზე, სტოკ სიტი, ბლექბერნი, რეალ სოსიედადი, კადისი. მაკრონი უეფას მსაჯების ფორმების ოფიციალური მომმარაგებელია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იუოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პეკინის მეორე სახელწოდება; 2. მადრიდის „რეალში“ მოთამაშე, 50-იანი წლების ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი; 3. ფრანგული სამხედრო, ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 8. კომერციული საქმიანობა; 9. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების გაერთიანება; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 20. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში.

თარაზულად: 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 10. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 11. კურორტი რაჭაში; 14. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 15. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანებში; 23. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მწევარი; 2. ზარზმა; 3. ბაკურიანი; 4. პრიზმა; 5. პამპერსი; 7. არვე; 11. ძილქუში; 13. ქებურია; 15. ყანწი; 16. კეჩუა; 18. ღვინო; 19. ვეკუა.

თარაზულად: 6. წიწაკა; 8. დარჯაკი; 9. ბაირამი; 10. ანდერძი; 12. ვახტი; 14. დაგერი; 17. ნაბეღლავი; 20. ღრუბელი; 21. მწყერი; 22. ნადური; 23. გამბუზია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აკაპელა; 2. ფილტრი; 3. იოსელიანი; 4. ბუშელი; 5. თეთნულდი; 7. ბონო; 11. ტროტილი; 13. ვივიენი; 15. ალილო; 16. დორსე; 18. რუმბი. 19. სენტო.

თარაზულად: 6. კოვბოი; 8. სისტოლა; 9. ქაშვეთი; 10. ესკორტი; 12. ვისკი;. 14. ჟიგოლო; 17. ნოვარტისი; 20. უნისონი; 21. პლებეი; 22. ბენტლი; 23. აერობუსი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0840

ევრო — 3.5130

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1992

100 რუსული რუბლი — 4.0371

ამინდის პროგნოზი 20 იანვრისათვის



იუვენტუსს იკარდის შეძენა სურს

ტურინის იუვენტუსი ახალ ფორვარდს ეძებს და მისი ინტერესის სფეროში მაურო იკარდი მოექცა, რომელსაც პსჟ-დან წასვლა სურს, რადგან იქ ის საკმაოდ იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში.

იკარდიმ იტალიაში დაბრუნების სურვილი გამოთქვა და მისი აზრით, ეს რეალურია, თუ სათანადო წინადადება იქნება, რომელიც მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და მას ძირითად შემადგენლობაში თამაში გარანტირებული ექნება.

ჯორჯო კიელინი: „იუვენტუსს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს“



ტურინის იუვენტუსის ცენტრალურმა მცველმა ჯორჯო კიელინიმ თავისი გუნდის შედეგებზე ისაუბრა და თქვა, რომ იუვენტუსს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს, რის გამოც ისინი მუდმივად ახერხებენ რთული მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნას:

– იუვენტუსს სეზონის დასაწყისში მცირე კრიზისი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ ეს კრიზისი დავძლიეთ, რადგან გამარჯვებულის მენტალიტეტი გვაქვს, რომელიც ყოველთვის გვეხმარება.

იურგენ კლოპი: „ბევრი უაზრო ქულა დავკარგეთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა მისი გუნდის წლევანდელ სეზონში თამაში შეაფასა და თქვა, რომ მათ ბევრი უაზრო ქულა დაკარგეს, რის გამოც ჩემპიონობის მიღწევა საკმაოდ რთული იქნება:

– უნდა ვაღიარო, წელს პრემიერლიგის მოგება თითქმის არარეალურია და ამაში დამნაშავეები მხოლოდ ჩვენ ვართ. შეცდომებისგან სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მანეკენი „მშვენიერი პრინცი“ პოლიციელებს ცხედარი ეგონათ

ინგლისში სამართალდამცავებმა გააჩერეს მანქანა, რომლითაც, როგორც ისინი ფიქრობდნენ, ცხედარი გადაჰქონდათ და სინამდვილეში მუყაოს მანეკენი აღმოაჩინეს.

ინგლისის კემბრიჯშირის საგრაფოს პოლიციის განყოფილებაში რამდენიმე შეტყობინება შევიდა იმის შესახებ, რომ M11 გზაზე მოძრაობდა ავტომობილი, რომელშიც დახვეული ხალიჩა იდო, ხოლო იქიდან ადამიანის ფეხები მოჩანდა. თვითმხილველებმა აღნიშნული ტვირთი ცხედრად ჩათვალეს.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მანქანა გააჩერეს და აღმოჩნდა, რომ ხალიჩაში გახვეული იყო მანეკენი „მშვენიერი პრინცი“. მძღოლს ის დაბადების დღესთან დაკავშირებით თემატურ წვეულებაზე მიჰქონდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 იანვრისათვის

ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. ** კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრმანქალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალაქიდან ჩასული პროფესორი გლეხებს ლექციას უტარებს:

– ამრიგად, თქვენ წინაშეა თავის ქალა, ეს არის ალექსანდრე მაკედონელის თვის ქალა 7 წლის ასაკში. ეს კი 25 წლის ალექსანდრე მაკედონელის თავის ქალა, ეს კი გარდაცვლილი ალექსანდრე მაკედონელისაა. შეკითხვები გააქვთ?

– თუ შეიძლება ამიხსენით, როგორ შეიძლება, რომ ერთ ადამიანს სამი თავის ქალა ჰქონდეს?

– და თქვენ ვინ ხართ?

– მე დამსვენებელი ვარ?

– მერე აქ რა გინდათ! ეს ლექცია სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვისაა.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– შენთან რა მაგარია, როგორი მინიმალიზმია.

– ამას სიღარიბე ჰქვია.

●●●

დაქალები ტელეფონზე საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ ხარ? როგორ არის საქმე?

– ვზივარ სახლში, მეუღლემ ბავშვი წაიყვანა გარეთ გასასეირნებლად.

– მართლა? ყოჩაღ!

– მხოლოდ ეგაა, რომ ბავშვი სახლში დარჩა.

– ეგ როგორ?

– როგორ და ეტლი წაიღო, ნახევარი საათის შემდეგ კი მირეკავს, ეტლი მსუბუქია, რა, ბავშვის ჩასმა დაგავიწყდა?

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– მე შენ მინდიხარ!

– და ჩემგან რა გინდათ? აი, მე, მაგალითად, სუნამო და კაბა მინდა!

– რა, გინდათ, საჩუქრები გამომტყუოთ?

– თქვენ კი სექსზე გინდათ დამიყოლიოთ?

– და რა?

– რა და არაფერი! ვწევართ ასე ორი „იდიოტი“... მე უკაბოდ, შენ – უსექსოდ...

●●●

ქუჩაში სეირნობის დროს სტუდენტი თავის ლექტორს შეხვდა, რომელმაც ის წინა დღეს გამოცდაზე ჩაჭრა, და ესალმება:

– გამარჯობათ!

– მე დებილებს არ ვესალმები, – უპასუხა ლექტორმა.

– აი, მე კი ვესალმები.

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– ძვირფასო, მე შენმა სიყვარულმა ოკეანე გადმომაცურინა!

– ოთხი წელი მოცურავდი?!

– ქარიშხალი იყო და...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სალომე ჭაჭუამ ირლანდიურ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ იცეკვა

ირლანდიაში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დაიწყო, სადაც ქართველი მოცეკვავე სალომე ჭაჭუა მონაწილეობს. მისი მეწყვილე ცნობილი მორაგბე ჯორდან ქონროია.

წყვილმა პირველ საკონკურსო ტურში სალომეს მიერ დადგმული ცეკვა წარმოადგინა. მათ სალსა იცეკვეს და დარბაზში მყოფი მაყურებლისგან მხურვალე აპლოდისმენტები, ხოლო ჟიურისგან მაღალი ქულები დაიმსახურეს.

სალომე ჭაჭუა:

– უზომოდ მადლიერი ვარ თითოეული ადამიანის, ამხელა სითბო და სიყვარული ჩემთვის არის საოცრად გულის ამაჩუყებელი, დიდი მადლობა.

არიადნა შენგელაია 85 წლისაა

საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი არიადნა შენგელაია იუბილარია. მას 85 წელი შეუსრულდა. იუბილეს ხელოვანი პანდემიის გამო მოკრძალებულად შეხვდა.

არიადნა შენგელაია წლებია გრიბოედოვის თეატრის მსახიობია, სადაც არაერთი დაუვიწყარი სცენური სახე შექმნა.

თეატრალურ როლებთან ერთად არანაკლებ დასამახსოვრებელია მისი კინოროლებიც, რომლებიც გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან სხვადასხვა კინოსტუდიის მიერ გადაღებულ ფილმებში განასახიერა.

იუბილარი ხელოვანისთვის ქართული ფილმებიდან სავიზიტო ბარათად რჩება ელდარ შენგელაიას „შერეკილები“, სადაც მან მარგალიტას როლი განასახიერა.

არიადნა შენგელაია წლების მანძილზე პედაგოგად მუშაობდა თეატრალურ უნივერსიტეტში, სადაც სასცენო მეტყველებისა და მსახიობის ოსტატობის კურსს უძღვებოდა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოდან თანამშრომლები გაუშვეს

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის შემდეგ, თანამშრომლები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდანაც გაუშვეს.

ინფორმაცია ხელოვნების მუზეუმის ყოფილმა ხელმძღვანელმა ეკა კიკნაძემ გაავრცელა:

– გიო გაგოშიძე, ეკიშა თაბუკაშვილი, ნანა კვიციანი – ფოსტით მიიღეს შეტყობინება, რომ არასაკმარისი კომპეტენცია აქვთ ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოში მუშაობისთვის.

მათი კომპეტენცია სააგენტოს ახალმა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ აზნაურაშვილმა შეაფასა. ეს ადამიანი ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლებთან გასაუბრებასაც ესწრებოდა და მაშინ დავგუგლე: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ყოფილა, წულუკიანის მარჯვენა ხელი და როგორც ერთ-ერთ სტატიაში წავიკითხე, ადამიანებთან ურთიერთობისას მასავით „თავაზიანი“ მანერების მქონე.

ჩემი სოლიდარობა კოლეგებს.

მარიამ ვაშაძე დედა გახდება

ჟურნალისტი მარიამ ვაშაძე დედა გახდება. საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტის მეუღლე ვანო ბენიძეა. წყვილი პირველ შვილს ელოდება და სულ მალე ახალბედა მშობლების ამპლუას მოირგებენ.

ორსულობისთვის მოწყობილი ფოტოსესიიდან ფოტოები ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში გაავრცელა და უამრავი მოწონება და კეთილი სურვილებიც მიიღო.

ბუბა კუდავა ტაო-კლარჯეთზე გამოცემული წიგნისთვის დააჯილდოვეს

ისტორიკოს ბუბა კუდავასა და გამომცემლობა „არტანუჯს“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია მიანიჭა.

პრემია მათ მიიღეს გამოცემათა ციკლისთვის – „ტაო-კლარჯეთი – ისტორიისა და კულტურის ძეგლები. კატალოგი“ და „ტაო-კლარჯეთი – ისტორიულ-კულტურული ნარკვევი“ (სამ ენაზე).

„ტაო-კლარჯეთი – ისტორიისა და კულტურის ძეგლები. კატალოგი“ – წიგნში წარმოდგენილია ტაო-კლარჯეთის რეგიონთან დაკავშირებული უმდიდრესი ქართული კულტურული მემკვიდრეობა. კატალოგში გაერთიანებულია ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები, ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული ისტორიული პირები, ისტორიული პუნქტების ცნობარი, თანამედროვე ადმინისტრაციული ერთეულების, პუნქტების ძველი და თანამედროვე სახელების მითითებით და ბიბლიოგრაფია.

კრებულზე იმუშავეს ბუბა კუდავამ, ნესტან ბაგაურმა, ზურაბ ბატიაშვილმა, ირმა ბერიძემ, ნიკოლოზ ჟღენტმა, გოჩა საითიძემ და ნათია ხიზანიშვილმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ამერიკული ჯიპი; 2. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ნარკოტიკული ნივთიერება; 5. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთში; 8. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 9. უბანი ქუთაისში; 12. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 14. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული; 16. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება.

თარაზულად: 1. ანტიკური მედიცინის ფუძემდებელი; 6. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 7. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 9. ფრანგი ტიფლო-პედაგოგი, უსინათლოთათვის შრიფტის შემქმნელი; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. ქართული სანადიმო სიმღერა; 13. გარეული ცხოველი მადრიდის სიმბოლო; 15. ბოლშევიკების ბელადი; 17. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 18. მომღერალთა გუნდი; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 20. ხეობა საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა